ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 26 იანვარი, 2023 №18 (9054) ფასი: 80 თეთრი

სალომე ზურაბიშვილი ზელენსკის — „თქვენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვება იქნება“

გვ.4

„ვიწყებთ ეროვნულ მოძრაობას! არასერიოზული განაცხადია“

გვ.3

ვახტანგ ძაბირაძე: „ლევან ხაბეიშვილი თუ სადღაც უნდა შევარდეს, როგორც დევგმირი და სააკაშვილი გამოიხსნას, შევარდეს, რაღა არჩევნებს ელოდება“



მამუკა ახვლედიანი: „მესამე პრეზიდენტის საქმე გადავადებას ექვემდებარება და სახელმწიფომ ამის დროულად გაკეთებაზე უნდა იფიქროს“

„სააკაშვილის სიცოცხლეს ეთამაშებიან“

გვ.2

გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „რატომ 24 თებერვალი... ეს თარიღი ბევრ კითხვის ნიშანს არ უნდა ტოვებდეს“

„ხელისუფლებას რევოლუციასთან და ომთან დაკავშირებით ჰალუცინაციები აქვს“

დიპლომატი დიეგო არია: „უფრო სამართლიან მსოფლიოში რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ვერ იქნებოდა“

გვ.4

„პუტინსა და ლუკაშენკოს სპეციალური ტრიბუნალი გაასამართლებს“

„ვის მხარეს ვართ? რა თქმა უნდა — ოკუპანტი ქვეყნის წინააღმდეგ“

ამირან სალუქვაძე: „გამოზომილი დახმარება უკრაინას დიდ შეღავათს ვერ მისცემს. უკრაინამ ბრძოლის ველზე გარდატეხის შეტანა რომ მოახერხოს, ესაჭიროება არა 20-30 ტანკი, არამედ 200-300 და მეტი“

გვ.3

ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს ახლად დანიშნულ ელჩ გიორგი შარვაშიძეს შეხვდა

გვ.3

5 რუსთავში დედას, რომელიც 6 წლის შვილთან ერთად ქვეითად გადაადგილდებოდა, მანქანა დაეჯახა

6 ლეგენდარული საცეკვაო შოუ „ანატოლიის ცეცხლი“ თბილისის საკონცერტო დარბაზში გაიმართება

5 ვინ არის 48 წლის ქალი, რომელიც აბიტურიენტების ოჯახებს ფულს სძალავდა

6 უკრაინა-რუსეთი: გადამწყვეტი ბრძოლები ახლოვდება

1993230720223

„სააკაშვილის სიცოცხლეს ეთამაშებიან“

მამუკა ახვლედიანი: „მესამე პრეზიდენტის საქმე გადავადებას ექვემდებარება და სახელმწიფომ ამის დროულად გაკეთებაზე უნდა იფიქროს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანი პასუხობს.

– ბატონო მამუკა, მიხეილ სააკაშვილის ირგვლივ განვითარებულ პროცესებს როგორ აფასებთ? რამდენად გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ სასამართლო სასჯელს გადაუვადებს და სამკურნალოდ გაუშვებს? არის ხელისუფლება ამაზე წამსვლელი, ან სასამართლო ხელისუფლების გარეშე მიიღებს ამ გადაწყვეტილებას?

– რა გადაწყვეტილებას მიიღებს ხელისუფლება, ამის თქმა რთულია. ერთი რამ, რაც ნათლად ჩანს, არის ის, რომ ძალიან გაჭიანურებულია პროცესი. ამდენი ხნის განმავლობაში მსგავსი კატეგორიის საქმეები არ განიხილება, როცა საქმე ჯანმრთელობის მდგომარეობას ეხება. ძალიან სწრაფად ხდება ხოლმე განხილვა და შესაძლებელი იყო, ეს მალე მომხდარიყო. რაც შეეხება გადაწყვეტილებას, რასაც მოვუსმინე და რის შეფასებაც შეიძლება ექიმებისა და საერთაშორისო ექსპერტების დასკვნებით, ექვემდებარება გადავადებას და სახელმწიფომ უნდა იფიქროს ამის დროულად გაკეთებაზე.

– სულ გვესმის, რომ სააკაშვილის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, ახლა კოვიდიც დაერთო ამ ყველაფერს. სასამართლო ამას რატომ არ ითვალისწინებს?

– სამწუხარო ის არის, რომ სასამართლო ვერ იღებს გადაწყვეტილებას. ეს ღიადაც ჩანს, საკმაოდ დიდი დროით გადაიდება ხოლმე პროცესები. არადა, ყველა ექიმი ითხოვს, რაც შეიძლება სწრაფად იქნეს გადაწყვეტილება მიღებული. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შეგნებულად ჭიანურდება პროცესი და სასამართლოში ვერ იღებენ ამ გადაწყვეტილებას.

– „ქართული ოცნების“ ლიდერებს თუ დავუჯერებთ, ასეთი დამოუკიდებელი სასამართლო საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. ცოტა ცინიკური ხომ არ არის მსგავსი განცხადებები?

– მათ გარდა, მსგავს შეფასებას არავინ აკეთებს, არცერთი საერთაშორისო ექსპერტი. იურისტის შეფასებაც კი არ მსმენია ასეთი. მხოლოდ ეს ერთი ჯგუფი აფასებს სასამართლოს ასე და სწორედ ეს არის პრობლემა. მარტო ამ ჯგუფს აქვს ნდობა სასამართლოს მიმართ და ყველა დანარჩენს – არა.

– რამდენად პოლიტიზებულია დღეს სასამართლო სისტემა?

– პოლიტიზებულს ვერ დაარქმევთ, უფრო სხვა ტერმინია, მაგრამ პოლიტიკური გავლენები ნამდვილად არსებობს. ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგი პროცესი მაქსიმალურად სწრაფად იმართება, ზოგი მაქსიმალურად იწელება დროში. ვხედავთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გაუგებარია, იმავე ნიკა გვარამიასთან. ვხედავთ საკითხებს, რომლებიც სამ-ოთხ დღეში განიხილება ნებისმიერი სხვა მოქალაქისთვის და მიხეილ სააკაშვილისთვის მეორე თვეა მიმდინარეობს.

– ბევრი მოწმეა დასაკითხიო. ამ შემთხვევაში რა უნდა ქნან, ყოველდღე უნდა ჩანიშნონ პროცესები?

– პირველ და ორ საათზე რომ პროცესს დაიწყებ, რა თქმა უნდა, 5-6 საათამდე მხოლოდ ერთ ადამიანს დაკითხავ და მეტს ვერ შეძლებ. დაიწყონ დილის 9 საათზე პროცესები. მოსამართლეს შეუძლია, მთელი დღის განმავლობაში გამოიძახოს მოწმეები და გადაბმულად რამდენიმე დღე ჩაატაროს პროცესები. ასე ხდება საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ მოსამართლე ერთი და ორი მოწმით შემოიფარგლება. როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, როგორ შეიძლება, ერთი კვირის შუალედით ჩანიშნო პროცესი!

– ანუ ეს პროცესის მიზანმიმართულად გაწელვაა?

– აი, სწორედ ეს არის იმ პოლიტიკის გავლენა, რომელზეც ვსაუბრობდით, როცა სასამართლო ვერ იღებს იმ პრინციპულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მის კომპეტენციაშია.

– ანუ სანამ ივანიშვილი არ მიიღებს გადაწყვეტილებას სააკაშვილთან დაკავშირებით, ეს ვითარება იქნება?

– დაახლოებით ასე გამოდის, სანამ გარკვეული პოლიტიკური ჯგუფი არ მიიღებს გადაწყვეტილებას, სასამართლო ვერ იღებს გადაწყვეტილებას. სამწუხაროდ, ადამიანის სიცოცხლეს ეთამაშებიან. ამ ქვეყანაში თუ პრეზიდენტის უფლებებს ვერ ვიცავთ, სხვა ვისი უფლება იქნება დაცული?! ელემენტარულად, იმას ვერ ახერხებენ, რომ პროცესზე ვნახოთ ადამიანი. ვერც მის ჩართვას ახერხებენ, რომ საკუთარი პოზიცია წარმოადგინოს. არ ვიცი, რა ჰქვია ამას. რაღაც გაწელილი, უსახური პროცესია.

– დიდი მოლოდინი იყო, რომ პრეზიდენტი ზურაბიშვილი შეიწყალებდა სააკაშვილსა და ნიკა გვარამიას. რა მოხდა, ისევ ვერ გაბედა?

– მე ასეთი ფორმით ვერ შევაფასებდი პრეზიდენტის ქმედებას, მაგრამ, სასურველია, უფრო აქტიურად ჩაერთოს და დროულად მიიღოს ეს გადაწყვეტილებები. პრეზიდენტს აქვს ის ბერკეტი, რომლითაც შეუძლია, გავლენა მოახდინოს ამ პროცესებზე. აქ მხოლოდ მიხეილ სააკაშვილზე არ არის საუბარი. აქ საუბარია ქვეყნის ევროპულ მომავალზე, სადაც ეს საქმეები სერიოზულად შემაფერხებელი ფაქტორია ამ ევროპულ გზაზე. დროულად მიიღოს პრეზიდენტმა გადაწყვეტილება, რომ მერე გვიან არ იყოს.

„ხელისუფლებას რევოლუციასთან და ომთან დაკავშირებით ჰალუცინაციები აქვს“

ლელა ჯეჯელავა: „რატომ 24 თებერვალი... ეს თარიღი ბევრ კითხვის ნიშანს არ უნდა ტოვებდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის კითხვებს“ ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.

– ქალბატონო ლელა, ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესები შევაფასოთ და კონკრეტული თემით დავიწყოთ. ოპოზიციის კონკრეტულ ჯგუფთან ერთად თქვენც გიხილეთ, სადაც 24 თებერვლის დიდი აქცია დაანონსდა და განაცხადი გაკეთდა, ერთიან ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ვიწყებთო. ბევრი სკეპტიკურად შეხვდა ამას, ისევ ნაციონალური მოძრაობის ქვაბში მოიხარშება ყველაფერიო. რას იტყვით თქვენ, რამდენად არის ამ მოძრაობაში გამოსავალი?

– ჩემთვის მოულოდნელი არც ის სკეპტიციზმი და პესიმიზმია, რომლებიც ამ მოძრაობასთან დაკავშირებით გაჩნდა, არც უნდობლობა, არც დისკრედიტაციის მცდელობა. ყველაფერი, რაც ხდება, ეს არის სრულიად ბუნებრივი იმ მოცემულობიდან, რომელშიც ჩვენ ახლა ვიმყოფებით.

– ხელისუფლების წისქვილზე დაასხეს წყალიო. შემდეგ კობახიძის განცხადებებიც მოვისმინეთ, რევოლუცია და მეორე ფრონტის გახსნა სურთო. რატომ გაიგო ბევრმა ასე, რომ ეს ჯგუფი ხელისუფლების თამაშს თამაშობს?

– ხელისუფლებას ამ რევოლუციასთან და ომთან დაკავშირებით ჰალუცინაციები აქვს და მე ამის შეფასება გამიჭირდება, იმიტომ, რომ ეს არის მეცნიერების კონკრეტული სფერო, სადაც კომპეტენცია არა მაქვს. რაც შემიძლია გითხრათ ამ მოძრაობასთან დაკავშირებით, მე სრულიად ვიზიარებ და მაქვს გაცნობიერებული მოქალაქეების ძალზე ფრთხილი დამოკიდებულება. ბოლო პერიოდში ბევრი იმედგაცრუება იყო, ბევრი იყო ჩვენი შეკრული და მობილიზებული მოქალაქეების ენერგიის ფუჭად გახარჯვის მცდელობა და ახლა ყველა პროცესს, რომლებიც დაიწყება, სკეპტიკურად შეხედავენ. რასაკვირველია, ეს ძალიან კარგად გვესმის, ვიცით, რომ ეს არის გამოწვევა. თუ ვერ მოვახერხეთ ამ უნდობლობის გაქრობა მოსახლეობაში, ფაქტია, ვერ მოვიპოვებთ მათ მხარდაჭერას.

ორი მნიშვნელოვანი პრობლემა გამოიკვეთა. ბევრს ყური მოსჭრა სიტყვებმა ეროვნული მოძრაობა და მეორე იყო თარიღთან დაკავშირებით.

– რატომ 24 თებერვალი, უკრაინაში ომის დაწყების დღე?

– 24 თებერვალს დაიწყო რუსეთმა უკრაინის ხელახალი ოკუპაციის პროცესი. 25 თებერვალი არის ტრაგიკული სიმბოლო საქართველოს ისტორიაში. ეს არის საქართველოს ოკუპაციის თარიღი. ჩვენი სოლიდარობა და მხარდაჭერა უკრაინას იმიტომ, რომ საქართველოში არასოდეს 25 თებერვალი აღარ განმეორდეს. უკრაინისა და საქართველოს ოკუპაციის თემები ერთმანეთთან ისტორიულადაც არის დაკავშირებული და თანამედროვე მდგომარეობის ამ ეტაპზე ეს რისკები დღესაც არსებობს. ამიტომ მთავარია ჩვენი, ქართველი ხალხისა და არა კონკრეტული ჯგუფების, კონკრეტული პოლიტიკური პარტიების სოლიდარობა იმის გაცნობიერებით, რომ ჩვენი თავისუფლებები ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. ეს რაც შეეხება თარიღს და, მგონი, ბევრ კითხვის ნიშანს აღარ უნდა ტოვებდეს. რაც შეეხება ეროვნულ მოძრაობას...

– ამასთან დაკავშირებით მოვისმინე შეფასება, ერთსა და იმავე წყალში მერამდენედ უნდა შევიდნენო.

– ჩემი გადასახედიდან, ეს ეროვნული მოძრაობის მნიშვნელობის არასწორი გააზრებაა. თავისი განვითარების განმავლობაში სახელმწიფოსა და ერს შეიძლება გადასაწყვეტი ჰქონდეს ეროვნული მნიშვნელობის რამდენიმე სერიოზული ამოცანა, რომელთა გარშემოც კონსოლიდაცია და კონკრეტული მიმართულებით სვლაა სწორედ ეროვნული მოძრაობა. თუკი რომელიმე გაერთიანების ან მოძრაობის მიზანი აღემატება ვიწროპარტიულ ინტერესებს და ეს არის ამ სახელმწიფოში მცხოვრები თითოეული მოქალაქის, განურჩევლად ეთნოსისა, რელიგიისა და პოლიტიკური შეხედულებისა, ამოცანა და პირადი პასუხისმგებლობა, ეს არის სწორედ ეროვნული ამოცანა. მის გარშემო კონსოლიდაციაა სწორედ ეროვნული მოძრაობა. ამიტომ, არა მგონია, რომ საქართველოს თავისუფლება და დეოკუპაცია იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის ვიწროპარტიული ექსკლუზივი. ეს არის საერთო სახალხო პასუხისმგებლობის საკითხი.

– შესაძლოა, სწორედ იმ ძალებს არ ენდობა საზოგადოება, რომლებმაც ეს მოძრაობა წამოიწყეს. ვგულისხმობ პოლიტიკურ ძალებს.

– საზოგადოების გარკვეულ ნაწილს იქ მდგარი ჯგუფების მიმართ შეიძლება ჰქონდეს ნდობაც და უნდობლობაც, თუმცა, თავად ეს მოცემულობა, რომ ყველა იქ მდგომმა ადამიანმა გადალახა ბარიერი და ზემოთ დადგა მათ შორის არსებულ პოლიტიკურ წინააღმდეგობებზე, უკვე არის მაგალითი იმისთვის, რომ სახელმწიფო, ქვეყანა, მისი თავისუფლება და გადარჩენა გაცილებით მაღალი იდეაა, ვიდრე ჩვენი ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებები.

საქართველოს დამოუკიდებლობის 30–წლიან ეტაპზე ალბათ არ არსებობს ადამიანი ამ ქვეყანაში, რომელსაც აქტიური სამოქალაქო პოზიცია ჰქონდა და რომელიც მუდმივად მართალი აღმოჩნდა ამ ქვეყნისა და ისტორიის წინაშე. ყველას რომელიღაც ეტაპზე შეეშალა, ზოგს – 1991-ში, ზოგს – 2007-ში და ვიღაცას – 2012-ში. ამ ყველაფრის მიუხედავად, თუ ახლა ჩვენ არ შევძელით კონსოლიდაცია და ამ ქვეყნის მომავლის შენარჩუნება, ეს იქნება გამოუსწორებელი შეცდომა.

– ქალბატონო ლელა, ბოლო პერიოდში ბევრი ხალხმრავალი აქცია ვნახეთ, თუმცა, როგორც დაიწყო, იმავე დღესვე ისევ ისე დასრულდა. რა იქნება ამ შემთხვევაში, ერთჯერადი აქცია თუ ეს ყველაფერი პერმანენტულ ხასიათს მიიღებს?

– მე არ ვეთანხმები შეფასებას, რომ ყველაფერი დასრულდა. არაფერი არ დასრულებულა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ქუჩაში აღარ დგას. ყველამ ძალიან მკაფიოდ აჩვენა, რომ ქართველი ხალხისა და ხელისუფლების ნება ამ საკითხებში ერთმანეთს არის აცდენილი უკრაინასთან დამოკიდებულებაში და ქვეყნის განვითარების კურსთან დაკავშირებით. ამას მოჰყვა შესაბამისი საერთაშორისო რეაქციები. მთელი დასავლური სამყარო აბსოლუტურად ერთსულოვანია მათ შეფასებებში. ათი წლის განმავლობაში აქამდე მსგავსი რამ არ ყოფილა. ევროპარლამენტის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რეზოლუციას, სადაც საუბარია იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ გადაუხვია მის მიერვე დეკლარირებულ კურსს. ამ ყველაფერს კი შესაბამისი შეფასებები უნდა მისცეს როგორც ქართველმა ხალხმა, ისე – საერთაშორისო საზოგადოებამ.

10 წლის განმავლობაში როგორ ვერ შეიძინეს მეგობრები?! ყველა ნაციონალურმა მოძრაობამ მოისყიდა?! ერთი ადამიანის პოვნაც კი ვერ შეძლეს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში, რომელიც მათ სასარგებლოდ მათი პოზიციების ახსნას შეეცდებოდა. ჩვენს ხალხს ჯერ არ უთქვამს უარი არც ფიქრზე და არც აზროვნებაზე. ჩვენი ხელისუფლების მდგომარეობა რომ არც იოლია და არც კომფორტული, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ნება მოდის დასავლელი პარტნიორებისგან. ამასთან სინერგიაში თუ მოვა ქართველი ხალხის პოზიცია, ახლა ეს ნება უნდა განხორციელდეს და ეს მოძრაობაც მხოლოდ ამისთვის შეიქმნა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ვიწყებთ ეროვნულ მოძრაობას! არასერიოზული განაცხადია“

ვახტანგ ძაბირაძე: „ლევან ხაბეიშვილი თუ სადღაც უნდა შევარდეს, როგორც დევგმირი და სააკაშვილი გამოიხსნას, შევარდეს, რაღა არჩევნებს ელოდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, პროდასავლური ოპოზიციის ერთმა ნაწილმა გაერთიანებაზე განაცხადი გააკეთა. როგორ ფიქრობთ, რა შანსები, რა შესაძლებლობები აქვთ?

– ზოგადად რაც ხდება ოპოზიციაში, ყველა ნათლად ვხედავთ. არ არის მარტივი მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ. 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვის შესაძლებლობა, დღევანდელი მოცემულობით, მხოლოდ ორ პარტიას აქვს. რომლებზეც ვსაუბრობ, გასაგებია.

– ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებაზე“.

– რა თქმა უნდა. ამიტომ დანარჩენებმა უნდა იბრძოლონ გადარჩენისთვის, იმისთვის, რომ არ გაქრნენ პოლიტიკური არენიდან. ამისთვის კი საჭიროა გამსხვილება, ე.წ. გადაჯგუფება, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს.

ჩემთვის, პირადად, გაუგებარი დარჩა, რა საჭირო იყო ასე ნაჩქარევად ამ გაერთიანების დაანონსება, მით უფრო, როდესაც წინ არის ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნები ნაციონალურ მოძრაობაში. ვიღაც მეტყვის, რა მნიშვნელობა აქვს, რა მოხდება ნაციონალურ მოძრაობაში და როგორ დასრულდება არჩევნებიო. მე კი ვეტყვი, რომ აქვს, რადგან ძალიან დიდ პარტიასა და ბევრ ამომრჩეველზეა საუბარი. დალოდებოდნენ, რა მოხდებოდა, ვინ გაიმარჯვებდა, როგორ გადანაწილდებოდა პოზიციები, დაიშლებოდნენ თუ კვლავ ერთად იქნებოდნენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, კიდევ ვამბობ, ლაპარაკია ძალიან მრავალრიცხოვან ოპოზიციურ ელექტორატზე.

რა დაშავდებოდა, რომ, მაგალითად, ეს განაცხადი ორი კვირით გვიან გაეკეთებინათ. დალოდებოდნენ ამ პროცესს, იმ ახალ რეალობას, რომელიც აუცილებლად დადგება. პოლიტიკა დროსთან არის ძალიან მჭიდროდ მიბმული, ფაქტობრივად, დროის საკითხია თითქმის ყველაფერი. ამიტომ, ამ აჩქარების მიზეზი რა იყო, ვერ მივხვდი.

მეორე საკითხი, რომელიც არასერიოზულად გამოიყურება, ეხება დასათაურებას – ვიწყებთ ეროვნულ მოძრაობას. ცოტა არასერიოზულია, რადგან ეროვნული მოძრაობა როდესაც იწყებოდა, წინასწარ სახელწოდება არავის არ მოუფიქრებია. ხალხის, მასების ჩართულობამ, მასშტაბმა მოიტანა ეს მოძრაობაც, სახელწოდებაც და არა პირიქით. ამიტომ, როდესაც ასეთ მოძრაობას იწყებ, რომელზეც პრეტენზია გაქვს, იქ სპეკულაციები გამორიცხული უნდა იყოს. ძალიან გულწრფელი უნდა იყო, რომ შედეგი მოიტანოს.

რაც შეეხება 24 თებერვალს დაანონსებულ აქციას, გასაგებია. ყველამ იცის, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის, 80 პროცენტზე მეტის არჩევანი არის დასავლური, ევროპული კურსი. ამიტომ აქცენტი სწორად არის დასმული. რაც ხალხის არჩევანია, პოლიტიკოსი იმაზე რომ აკეთებს აქცენტს, ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, ეს ძალიან კარგია.

– როდესაც ევროკავშირმა უკრაინასთან და მოლდოვასთან ერთად სტატუსი არ მოგვცა, მაშინ აქციაზე, რომელიც არ იყო პოლიტიკოსების მიერ დაანონსებული და ორგანიზებული, ძალიან ბევრი ხალხი მივიდა. როგორია თქვენი მოლოდინი, 24 თებერვალს ბევრი ხალხი მივა?

– ვერ გეტყვით, რადგან მაშინ სულ სხვა რეალობა და განწყობა იყო. თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ აქცია არ იყო პოლიტიკოსების მიერ დაანონსებული. პოლიტიკოსები ტრიბუნასთან არც კი მისულან. გასაგებია, ეს სრულიად შეგნებულად გაკეთდა. რა იქნება 24 თებერვალს, რთული სათქმელია. წინ ერთი თვეა. ჩვენთან ძალიან სწრაფად იცვლება მოვლენები. ისე არ არის, რომ ერთი თვით ადრე გარკვეული პროგნოზი გააკეთო, თუმცა ტენდენციები, განწყობები ცნობილია. მიუხედავად ამისა, მე მაინც არ ველოდები ბევრ ხალხს.

ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, ეს იქნება კიდევ ერთი იმედგაცრუება, კიდევ ერთი გულგატეხილობა, რაც ძალიან ცუდია როგორც მათთვის, ისე ამ ქვეყნისთვის, მისი მომავლისთვის. მე ვშიშობ, ისე არ მოხდეს, როგორც დაანონსებულმა „ცხელმა შემოდგომამ“ ჩაიარა.

– თქვენ ამბობთ, რომ მიზანი პოლიტიკურ ველზე დარჩენა, არჩევნებისთვის ძლიერი პოზიციების მოპოვება, ბარიერის გადალახვაა?

– რაც არ უნდა იყოს მიზანი, გონივრული მოქმედებაა საჭირო. არა მგონია, ხელისუფლების შეცვლა არ იყოს მიზანი, მაგრამ ამისთვის სერიოზული მომზადება და უფრო მეტი ანალიზია საჭირო, თუ გინდა, რომ არ დატოვო არაკომპეტენტურის, არასერიოზულის შთაბეჭდილება, ისე, როგორც ლევან ხაბეიშვილმა, რომელიც თურმე სადღაც უნდა შევარდეს, როგორც დევგმირი და სააკაშვილი გამოიხსნას. ეს ხომ ძალიან სასაცილოა, ძალიან



„ოპოზიციას ძალიან დიდი და სერიოზული მუშაობა მოუწევს, რომ მიზანი იყოს რეალური და ხალხს იმედი გაუჩნდეს. თუ ხალხს ვერ დაარწმუნებენ, მაშინ „ქართულ ოცნებას“ 2030-მდე კი არა, 2050 წლამდე ექნება პრეტენზია, ხელისუფლებაში იყოს და იქნება კიდეც“

არასერიოზულია. თუ ასეა, რაღა არჩევნებს ელოდება.

ოპოზიციას ძალიან დიდი და სერიოზული მუშაობა მოუწევს, რომ მიზანი იყოს რეალური და ხალხს იმედი გაუჩნდეს. თუ ამას ვერ შეძლებენ, პირველ რიგში, თუ ხალხს ვერ დაარწმუნებენ, მაშინ „ქართულ ოცნებას“ 2030-მდე კი არა, 2050 წლამდე ექნება პრეტენზია, ხელისუფლებაში იყოს და იქნება კიდეც.

„ვის მხარეს ვართ? რა თქმა უნდა – ოკუპანტი ქვეყნის წინააღმდეგ“

ამირან სალუქვაძე: „გამოზომილი დახმარება უკრაინას დიდ შეღავათს ვერ მისცემს. უკრაინამ ბრძოლის ველზე გარდატეხის შეტანა რომ მოახერხოს, ესაჭიროება არა 20-30 ტანკი, არამედ 200-300 და მეტი“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

– ბატონო ამირან, მაშინ, როცა ჩვენ უკრაინელები მათგან 2007 წელს შესყიდულ ბუკებსა და შეიარაღებას გვთხოვენ, კარგად დაცული ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნები რუსეთთან უთანასწორო ომში ჩაბმული ქვეყნისთვის შეიარაღების გადაცემისაგან თავს რატომ იკავებენ? მაგალითად, გერმანია უკრაინას რატომ არ აძლევს „ლეოპარდებს“? ამაზე უცხოურ გაზეთებში წერილებიც გამოქვეყნდა, რომ გერმანიასა და ამერიკას შორის ამის თაობაზე უთანხმოებაა.

– ერთი მხრივ, არიან სახელმწიფოები, რომლებიც ერთ ოჯახს, ევროკავშირს წარმოადგენენ და ერთმანეთის მიმართ რაღაც ვალდებულებები გააჩნიათ. მათთან ერთად არიან ნატოს წევრი ქვეყნები. 50 სახელმწიფოა, რომელიც უკრაინას აქტიურად ეხმარება. მათ ყველას უსაფრთხოების რაღაც ქოლგა იცავს.

ის სახელმწიფოები, რომლებიც რუსეთს ესაზღვრებიან და უკრაინას ეხმარებიან, ყველა ნატოს წევრი ქვეყანაა. პატარა ესტონეთი, ნატოში რომ არ ყოფილიყო, უკრაინისთვის სამხედრო ტექნიკით, შეიარაღებითა და სამხედრო აღჭურვილობით დახმარებას მოერიდებოდა, მაგრამ დღეს ნატოს უსაფრთხოების ქოლგის ქვეშაა.

ძირითადად ამერიკამ ნატოს აღმოსავლეთ საზღვრებზე დიდი ძალები გადმოისროლა. ამიტომ ამ საფარქვეშ ბალტიის სახელმწიფოებს, ჩვენსავით პატარა და ჩვენზე პატარა ქვეყნებს, იმის ფუფუნება აქვთ, უკრაინას დაეხმარონ.

მეორე მხრივ, ლტოლვით, საგარეო კურსით ამ ოჯახის წევრები ვართ, მაგრამ ჩვენ არანაირი ვალდებულებები არ გვიცავს, ნატოს წევრი ქვეყანა არ ვართ, რის გამოც უკრაინას სამხედრო შეიარაღებით ვერ დავეხმარებით. ეს ბევრჯერ იქნა ახსნილი და დაჟინებით ამ მოთხოვნების გახმოვანება, ჩემი აზრით, არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა ჯერ კიდევ სულ ახლახან ჩვენი სტრატეგიული ქვეყნის მხრიდან.

სამი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა, ხელიხელჩაკიდებულები, ერთი კურსით მივდიოდით. ამ ომმა ყველაფერი არია. რუსეთმა უკრაინაში აგრესიით ამ მიზანსაც მიაღწია. ერთი მხრივ, უკრაინის მიწა-წყალზე თავის საქმეს აკეთებს, აგრესიას ახორციელებს, მეორე მხრივ, ჩვენ აგვრია.

უკრაინაში რუსეთის აგრესია რომ არ ყოფილიყო, იმავე ფორმატში თანამშრომლობას ხომ გავაგრძელებდით. „ასოცირების ტრიოს“ ფორმატში თანამშრომლობას ვგულისხმობ. ამ კუთხით რატომ არ უყურებენ ამ საკითხს, ჩემთვის გაუგებარია.

თუმცა ყველაფერი ხელისგულზე დევს და, როცა ამას ყურადღებას არ აქცევენ, ე.ი. ამის დანახვა არ სურთ, სხვა ინტერესები და სხვა მიზნებია. ჩემთვის ეს ყველაფერი გაუგებარია. ფაქტი ის არის, რომ საქართველოდან რამდენი ტექნიკაც არ უნდა მივაწოდოთ, უკრაინის ომში ისეთი დიდი მასშტაბებია (ერთმანეთს ორი უზარმაზარი სახელმწიფო, რუსეთი და უკრაინა უპირისპირდება), იქ საქართველოს დახმარება ზღვაში წვეთია.

ბოლოს და ბოლოს, უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი იქამდე მივიდა, რომ თქვა, ერთი დანითაც კი არ დაგვეხმარეთო. გამოდის, მიზანი ის კი არ არის, რეალურად ჩვენგან დახმარებით რაიმე შვება ნახონ, არამედ, კონკრეტულად უნდა დაფიქსირდეს, რომ თუნდაც რაღაც მცირე იარაღი მივეცით, ანუ სხვა მიზანია.

– ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, იარაღის გადმოცემის მოთხოვნით საქართველოს მთავრობას 30-ჯერ მივმართეთ, მაგრამ იარაღი არ მოგვაწოდესო. ასეთი დაჟინებული მოთხოვნა რას მიზნებს ემსახურება?

– მაგას ემსახურება. 30-ჯერ მომართა, 150-ჯერ თუ ერთხელ, რა მნიშვნელობა აქვს, თავშივე გაცხადდა, რომ ჩვენ საომარ მოქმედებებში ვერ ჩავერთვებით. აქ ამ სიტყვასაც არასწორად ატრიალებდნენ. განცხადება გაკეთდა, რომ ვერ გავხდებით მხარე, სადაც საუბარი იმაზე კი არ არის, ვის ვგულშემატკივრობთ და ვის მხარეს ვართ, ომში ჩართვაზეა საუბარი. ეს იგულისხმებოდა, მაგრამ ესეც კი ატრიალეს, ვის მხარეს ხართო.

ვის მხარეს ვართ? რა თქმა უნდა, ოკუპანტი ქვეყნის წინააღმდეგ ვართ, ვისთანაც უნდა ომობდეს, ჩვენს მეგობარ თუ არამეგობარ სახელმწიფოსთან, მაინც რუსეთის წინააღმდეგ ვიქნებით, რადგან რუსეთი ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას აგრძელებს. ეს ხომ ანა-ბანაა. ამიტომ კითხვა, ვის მხარეს ხართო, არც კი უნდა დასმულიყო.

– ნატო და კონკრეტულად გერმანია სამხედრო ტექნიკის უკრაინისთვის გადაცემისაგან თავს რატომ იკავებენ?

– ნატო ნელ-ნელა დახმარებას აგრძელებს. ვერ ვიტყვი, რომ მასშტაბები იზრდება. პირიქით, შარშანდელთან შედარებით, თუ გაწეულ დახმარებას ფინანსებში გადავიყვანთ, ჩემი აზრით, დახმარება შემცირებულია, მაგრამ, ამ ფინანსური გამოხატულების მიუხედავად, ნატო აგრძელებს უკრაინისთვის შეიარაღებისა და ტექნიკის გაგზავნას.

რა თქმა უნდა, ლიდერ პოზიციაზე ამერიკის შეერთებული შტატებია, როგორც ფინანსურად და სამხედრო შეიარაღებით ყველაზე ძლიერი სახელმწიფო. ტანკებს რაც შეეხება, მანდ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ირაკლი ღარიბაშვილი სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს ახლად დანიშნულ ელჩ გიორგი შარვაშიძეს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოს ახლად დანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს სომხეთის რესპუბლიკაში გიორგი შარვაშიძეს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა დიპლომატს ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

აღინიშნა, რომ საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას მჭიდრო მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობები აკავშირებს და სამომავლოდ სხვადასხვა სფეროში აქტიური თანამშრომლობის იმედი გამოითქვა.

გიორგი შარვაშიძე სხვადასხვა წლებში მუშაობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, სხვადასხვა პოზიციაზე, მათ შორის, მინისტრის პირველ მოადგილედ. აგრეთვე ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. 2016 – 2022 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. გარდა ამისა, 2004 – 2013 წლებში მუშაობდა ბუდაპეშტში ღია საზოგადოების ინსტიტუტში აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის დირექტორად.

გიორგი შარვაშიძე არის პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ევროპის აკადემიის ნამდვილი წევრი, დაჯილდოებულია ბრწყინვალების ორდენით. არის მონოგრაფიისა და სამეცნიერო სტატიების ავტორი.

„პუტინსა და ლუკაშენკოს სპეციალური ტრიბუნალი გაასამართლებს“

დიპლომატი დიეგო არია: „უფრო სამართლიან მსოფლიოში რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი ვერ იქნებოდა“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში ფართოდ დანერგილი რუსული პროპაგანდა გაეროს სტრუქტურებშიც ცდილობს ფეხის მოკიდებას. ამისათვის აგრესორი რუსეთის წარმომადგენლები იყენებენ გაეროს არაოფიციალური შეხვედრების ფორმატსაც, სადაც კრემლის წარგზავნილები უკრაინაში რუსეთის შეჭრას უკრაინას აბრალებენ. გაეროს არაოფიციალური შეხვედრების ფორმატი, იგივე „არიას ფორმულა“, 1992 წელს დააარსა ვენესუელელმა დიპლომატმა დიეგო არიამ, როცა მისი ქვეყანა გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი იყო. დღეს დიეგო არია პოლიტიკური დევნილია. მას მადუროს რეჟიმი ებრძვის. შეგახსენებთ, რომ ვენესუელის ახლანდელი პრეზიდენტი ნიკოლას მადურო აგრძელებს საქართველოს კუთხეების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობის“ ცნობის პოლიტიკას. ეს რეგიონები 2009 წელს უგო ჩავესმა აღიარა.

ცნობილ დიპლომატ დიეგო არიას ნიუ იორკში უკრაინული მედია ესაუბრა.

— რუსეთმა ამ დღეებში თქვენი სახელობის ფორმულის ფარგლებში გამართა სხდომა, სადაც ლაპარაკობდა ომზე, რომელსაც დონბასში აწარმოებს. როგორ უყურებთ ამ ფორმატის გამოყენების ამგვარ მანიპულაციურ საშუალებებს?

— ეს პროცედურა მთლიანად მცდარი იყო. არიას ფორმულის იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ გაეროს უშიშროების საბჭო გახსნილიყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის მთელ მსოფლიოში. მასში უნდა ჩართულიყვნენ მთავრობების წევრები ან ინსტიტუციები, რომლებიც არიან რეჟიმების მხრიდან სასტიკი მოქცევის ან ვანდალიზმის ობიექტი. ამ ფორუმის დანიშნულება არასდროს მდგომარეობდა იმაში, რომ ის გამოეყენებინათ პუტინის მსგავს დანაშაულებრივ-მაფიოზურ რეჟიმებს და გაემართლებინათ საკუთარი აგრესია მეზობელი მშვიდობიანი ქვეყნის მიმართ.

— როგორც გამოცდილი დიპლომატი, რას ფიქრობთ, აქვს თუ არა რუსეთს უფლება, იყოს გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი? მან ხომ უხეშად დაარღვია გაეროს წესდება.

— უფრო სამართლიან მსოფლიოში რუსეთი უშიშროების საბჭოს წევრი ვერ იქნებოდა. შარშან, თებერვალში, როცა უშიშროების საბჭოს რუსები თავმჯდომარეობდნენ, პუტინი შეიჭრა უკრაინაში. ეს მსოფლიოსთვის ძალიან ძლიერი სიგნალი იყო: მან მიაფურთხა გაეროს წესდებას.

— თქვენი აზრით, არსებობს თუ არა რუსეთის გაეროს უშიშროების საბჭოდან ჩამოცილების რეალური საშუალება?

— მე რომ ამის ინიცირების შესაძლებლობა მქონდეს, ამას ვეცდებოდი მაშინაც კი, თუ მეცოდინებოდა, რომ ეს წარმატებით არ დამთავრდებოდა.

ვფიქრობ, რომ მოძრაობა გაეროს უშიშროების საბჭოდან რუსეთის გამოყვანის მიზნით აუცილებელი საქმეა. ეს იძლევა მსოფლიო დანაშაულების უფრო მეტად გახსნის საშუალებას. ეს რთული საქმეა და მოითხოვს გაეროს გენერალური ასამბლეის წევრების ხმების დაახლოებით ორ მესამედს. შემდეგ ეს გადაწყვეტილებები უნდა მოიწონონ ეროვნულმა პარლამენტებმა.

— გსმენიათ თუ არა რამე მებრძოლ კოლოებზე, რომლებსაც თითქოს უკრაინა ამზადებს რუსეთთან ომისათვის, საიდუმლო ბიოლაბორატორიებზე, უკრაინულ ბინძურ ბომბებზე, ქიმიურ იარაღზე? მთელ ამ აბსურდს მოსკოვი და მისი წარმომადგენელი ნებენზია ავრცელებდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს მეშვეობით.

— ნებენზია დეგრადაციის მდგომარეობაში იმყოფება. ამ თემებზე რაღაც გამიგია, მაგრამ, არ ვარ დარწმუნებული, რა გაქვთ მხედველობაში.

— საუბარია იმაზე, თითქოს ჩვენს ქვეყანაში (უკრაინაში) მოქმედებს ბიოლოგიური ლაბორატორიები, სადაც უკრაინას აშშ-სთან ერთად გამოჰყავს რაღაც ბაქტერიები კოლოების, ფრინველებისა და ცხოველებისათვის, რომლებსაც რუსეთს მიუსევს ინფიცირებისთვის.

— როგორც გითხარით, რუსეთის ელჩს დემენცია სჭირს.

— მედიაში იყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გაეროში რუსეთის ბევრი ჯაშუში ირევა. გრძნობდით თუ არა ამას, როცა იქ მუშაობდით?

— მაშინ სხვა ვითარება იყო. ძირითადად ელცინის დროს ვმუშაობდი. 1990-1993 წლებში გაერთიანებული მსოფლიო გვქონდა. მაშინ იყო სხვა რუსეთი და არა ისეთი დანაშაულებრივი, როგორიც პუტინის რუსეთია.

— თქვენი აზრით, რა ელით პუტინსა და ლუკაშენკოს?

— ამ ადამიანებს სჯერათ, რომ მათ მართლმსაჯულება არ მიაკითხავს. არადა, ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, რომ მართლმსაჯულება მათ იპოვის. ამისკენ გზა არ გაივლის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს. ეს ძალიან დიდ დროს (წლებს) წაიღებდა. ეს გაკეთდება სპეციალური ტრიბუნალის მეშვეობით, როგორც ეს იყო ყოფილი იუგოსლავიის შემთხვევაში. სიტუაცია მაშინდელ იუგოსლავიაში ბევრი რამით ჰგავს უკრაინისას: მილოშევიჩი იყენებდა ადამიანებს, რომლებსაც სერბული წარმომავლობა ან სერბეთთან კავშირი ჰქონდათ ხორვატიასა და ბოსნიაში. ეს იგივეა, რაც პუტინმა ჩაიდინა ყირიმში.

პრემიერ-მინისტრმა დაზვერვის სამსახურის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში მოისმინა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაზვერვის სამსახურის უფროსს შალვა ლომიძეს შეხვდა. შალვა ლომიძემ პრემიერ-მინისტრს სამსახურის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში წარუდგინა.

პრემიერ-მინისტრმა და დაზვერვის სამსახურის უფროსმა განიხილეს 2023 წლის გეგმები და სამსახურის განვითარების პრიორიტეტები.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე მიმოიხილეს აგრეთვე რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება და უსაფრთხოების კუთხით არსებული გამოწვევები.

სალომე ზურაბიშვილი ზელენსკის — „თქვენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვება იქნება“

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის დაბადების დღეს ულოცავს.

პრეზიდენტი ზელენსკის „დაუღალავ ბრძოლაში“ სიძლიერეს უსურვებს. პრეზიდენტის თქმით, უკრაინის გამარჯვება საქართველოს გამარჯვება იქნება.

— ბატონო პრეზიდენტო, გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ, რომ მომავალი დაბადების დღე თავისუფალ და გაერთიანებულ უკრაინაში გეზეიმოთ!

გისურვებთ სიძლიერესა და გამძლეობას თავისუფლებისა და სუვერენიტეტისათვის ამ დაუღალავ ბრძოლაში!

თქვენი გამარჯვება ჩვენი გამარჯვება იქნება! დიდება უკრაინას! — წერს პრეზიდენტი „ტვიტერზე“.

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი გუშინ 45 წლის გახდა.

„ვის მხარეს ვართ? რა თქმა უნდა — ოკუპანტი ქვეყნის წინააღმდეგ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ბევრი მიზეზია. ევროპაში გერმანიასა და პოლონეთს შორის რაღაც შიდაკინკლაობაა.

ჩვენ ვნახეთ ამ ქვეყნების პირველ პირებს შორის რიტორიკა. პოლონეთმა განაცხადა, უკრაინას ტანკებს გერმანიის ნებართვის გარეშეც გადავცემთო. ამას გერმანიის მწვავე პასუხი მოჰყვა. შემდეგ უკან დაიხიეს. ზეწოლას არ დავარქმევ, თუმცა ზეწოლისმაგვარი მოლაპარაკებებია, რომ გერმანია ტანკების გადაცემაზე დაითანხმონ.

— ამას რით ხსნიან?

— ამას იმით ხსნიან, რომ ამერიკულ ტანკებს ესაჭიროება სპეციფიკური საწვავი, საავიაციო ნავთი. ხარჯი საკმაოდ დიდია. მოცულობით თუ ავიღებთ, ნავთი უფრო ძვირია, მაგრამ ყველა ტანკი ერთნაირად ბევრ საწვავს წვავს. თუ იმ მასშტაბებს განვიხილავთ, წელიწადზე მეტია, ომი მიმდინარეობს, ასობით ტანკი მონაწილეობს.

ომში ორივე მხრიდან ათასობით ტანკი მონაწილეობს. საწვავის სიძვირესა და ხარჯზე არ უნდა ისაუბრონ, როდესაც უკრაინა მიწასთან სწორდება. ჩემი აზრით, ამერიკასაც უნდა გადაეცა, მაგრამ იქ კიდევ სხვა პრობლემებია.

— რა პრობლემებია?

— ამერიკული ტანკების შემთხვევაში, ლოჯისტიკის სირთულეზე საუბრობენ. თუ უკრაინას „აბრამსებს“ გადასცემენ, ამას ცალკე საწვავმზიდები სჭირდება. არსებულ შეზღუდულ ლოჯისტიკურ ვითარებაში, როცა რუსეთი სხვადასხვა მიმართულებით გააქტიურებულია (ახლა ზაპოროჟიესა და სხვა მიმართულებით გააქტიურდნენ), ახალი ტექნიკის (ლოჯისტიკურ ტექნიკას ვგულისხმობ) შეტანა ცალკე პრობლემას ქმნის, რუსული არტილერიისა და ავიაციის ცეცხლში მოხვდებიან.

უმჯობესია, დიზელის საწვავით უზრუნველყოფა ერთი და იმავე ტრანსპორტით მოხდეს, რომლებსაც სხვადასხვა ტიპის ტანკების გამართვა შეეძლებათ, ვთქვათ, საბჭოური, ტ-72 ტიპის ტანკები იქნება თუ სხვა ტიპის, რომლებიც დიზელის საწვავს მოიხმარენ.

ერთი მანქანა, ერთი საწვავმზიდი არ ჰყოფნის. ალბათ, ათობით და ასობით საწვავმზიდი მუშაობს, რომლებიც ტანკებს საწვავით უზრუნველყოფს, მაგრამ ერთი ტიპის საწვავმზიდებით მომსახურებაზეა საუბარი.

არ გამოვრიცხავ, ამერიკული ტანკებიც ვიხილოთ. ზუსტად ეს რიტორიკა იყო გერმანიასა და ამერიკას შორის. ერთმანეთს მიმართავდნენ, ჯერ შენი ტანკები შეიყვანე, მერე მე გავაგზავნიო.

თუმცა აქ მარტო ეს ნიუანსები არ არის, პოლიტიკური, მრეწველობის, ტექნიკის გაუმართაობის პრობლემებია. სხვათა შორის, იგივე უკრაინული წყაროები წერდნენ „ტელეგრამარხებზე“ გერმანიის ჯავშანტექნიკის მდგომარეობაზე.

ერთ-ერთი, ვინც ეს ინფორმაცია გაავრცელა, ის კოლოვალენკო იყო, რომელმაც 2008 წელს საქართველოსთვის შეიარაღებისა და ტექნიკის გადმოცემა გამოიძია. ახლახან ის გერმანიის ტანკების საბრძოლო მზადყოფნის სავალალო მდგომარეობაზე წერდა.

ორი დღის წინ თვითონ ტანკების მწარმოებლის განცხადება გავრცელდა, რომ მათ შეუძლიათ უკრაინისთვის 139 ტანკის მიწოდება, ოღონდ აქ ვადებია საკმაოდ გაწელილი. 20-25%-ის გაზაფხულზე გადაცემა შეუძლიათ. დანარჩენს ეტაპობრივად, 2024 წლამდე გადასცემენ.

ამ საუბრებს რომ ვუსმენ, ვხვდები, რომ სანამ ნატოს ქვეყნების ეკონომიკა და სამხედრო მრეწველობა საომარ რელსებზე არ გადაერთვება, ეს რესურსები შეზღუდულია.

დიდმა ბრიტანეთმა უკრაინას 8 ტანკი გადასცა. მანამდე 14 ტანკის გადაცემაზე იყო საუბარი. დიდმა ბრიტანეთმა განაცხადა, რომ მათ არ შეუძლიათ მეტი ტანკის გადაცემა, რადგან ეს ბრიტანეთის თავდაცვისუნარიანობის რღვევას გამოიწვევს.

წარმოიდგინეთ, მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი ჯარის მქონე ბირთვული სახელმწიფო ამბობს, რომ თუ უკრაინას 8 თუ 14 ტანკზე მეტს გადასცემს, ეს ბრიტანეთის თავდაცვისუნარიანობის რღვევას გამოიწვევს. დიდი ბრიტანეთი კუნძულია. იქ დღეს ტანკებით ვის ებრძვიან? რუსეთის დესანტის გადასხმის მოლოდინი, წესით, არ უნდა ჰქონდეთ.

ანუ მასშტაბური დახმარებისაგან ბრიტანეთიც კი რატომღაც თავს იკავებს. გამორიცხული არ არის, ის ქვეყნებიც კი, რომლებიც გამოზოგილად ეხმარებიან, საბოლოო ჯამში, ამ დახმარებას მაინც გასცემენ, მასშტაბები მოიმატებს.

აქ პრობლემა ის არის, რომ ეს გამოზომილი დახმარება უკრაინას დიდ შეღავათს ვერ მისცემს, მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევისთვისაა. იმისათვის, რომ უკრაინამ ბრძოლის ველზე გარდატეხის შეტანა მოახერხოს, ამას ესაჭიროება არა 20-30 ტანკი, არამედ 200-300 და მეტი.

სხვადასხვა მონაცემით, უკრაინას ბრძოლის წინ 2 ათასიდან 3 ათასამდე ტანკი ჰქონდა. 8 ტანკი რას შველის.

სხვადასხვა მონაცემით, მეორე მხარეს — რუსეთს 12-13 ათასი და შეიძლება მეტი ტანკი აქვს. ომის დაწყების წინ 12-დან 15 ათასამდე ტანკი ჰქონდა.

— „ლეოპარდები“ როგორი ტანკებია, მათი გამოყენება უფრო მოსახერხებელია, რადგან მათ გადაცემაზე მახვილდება ყურადღება?

— ლოჯისტიკასა და სპეციალისტების მომზადების სიმარტივეზეა საუბარი. ამიტომ საუბრობენ „ლეოპარდების“ გადაცემაზე და არა „აბრამსებზე“. ყველა კარგი ტანკია. პირველ რიგში, მთავარია ტანკების რაოდენობის გაზრდა, ჭურვებით უზრუნველყოფა და სპეციალისტების მომზადება. 5-10-20 და თუნდაც 100 ტანკი არაფერს წყვეტს. საუბარია იმაზე, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან 70-100 ტანკს აგროვებენ.

გარკვეულ ეტაპზე უკრაინას სერიოზულად დაეხმარებიან. რუსები ერთ ან ორ — დონეცკისა და ზაპოროჟიეს მიმართულებაზე უფრო არიან გააქტიურებული და შეიძლება უკრაინელებმა ამ მიმართულებით რაღაც წარმატებას მიაღწიონ, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება.

— ომის პირობებში უკრაინა ტანკებს თუ აწარმოებს?

— მას შემდეგ, რაც რუსეთმა თვეების განმავლობაში სხვადასხვა კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის, სამხედრო-სამრეწველო ობიექტებზე სარაკეტო იერიშები განახორციელა, რა თქმა უნდა, სამხედრო-სამრეწველო ინფრასტრუქტურა სავალალო მდგომარეობაშია. არა მგონია, სადმე წარმოება არსებობდეს. ამიტომაა მნიშვნელობანი დასავლეთის მხრიდან დახმარების გაზრდა, თუ რეალური სურვილია.

გამოზოგილი დახმარება, როგორც სამხედროსთვის, გაუგებარია. რუსეთს ჰქონდეს 10-12-15 ათასი ტანკი და უკრაინის მხარეს 8-14 და თუნდაც 100 ტანკზე საუბრობდნენ, ძალიან არათანაბარი ძალებია.

— ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ვაჭრობა რუსეთთან გაზრდილია. ამიტომ ამ ქვეყნების მხრიდან უკრაინისთვის ტექნიკის გადაცემაზე თავშეკავებას მათ შორის სავაჭრო ბრუნვის გაზრდაც ხომ არ განაპირობებს?

— არა მგონია. უბრალოდ (დეტალებზე საუბარი არ მინდა), ალბათ, შედეგებს უყურებენ. სანამ აკვირდებიან (გვერდიდან აკვირდებიან და გამოზოგილად ეხმარებიან), რუსეთი უკრაინას მიწასთან ასწორებს. ყველგან — არა, მაგრამ იმ რაიონებში, სადაც საომარი მოქმედებებია (ვიდეო და ფოტო მასალებს ვეცნობით), ქალაქები და სოფლები მიწასთან არის გასწორებული. ახლა ბახმუტს მიწასთან ასწორებენ, ყოველდღიურად იბომბება.

სხვათა შორის, ინფორმაცია ვრცელდება ნავთობის ემბარგოსთან დაკავშირებით (თუმცა გადასამოწმებელია). რუსეთმა ინდოეთსა და ჩინეთში ნავთობის ექსპორტი გაზარდა. თავად რუსულ წყაროებში ვრცელდება ინფორმაციები, რომ რუსული ნავთობი ევროპაში ინდოეთის მეშვეობით შედის. ასე რომ, ესეც ცალკე შესასწავლი თემაა.

პროკურორი: „მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სერგი ქურთიაშვილსა და გიორგი კაჭკაჭაშვილს ძმებმა კაკულიებმა ესროლეს“

პროკურორის განცხადებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სერგი ქურთიაშვილსა და გიორგი კაჭკაჭაშვილს ძმებმა კაკულიებმა ესროლეს.

პროკურორ თამარ ყულჯანიშვილის განცხადებით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სერგი ქურთიაშვილსა და გიორგი კაჭკაჭაშვილს იარაღით ძმები, დავით და გურამ კაკულიები დაესხნენ. ამის შესახებ ჟურნალისტებს პროკურორმა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, რითაც გამოეხმაურა დაზარალებულების, ქურთიაშვილისა და კაჭკაჭიშვილის მიერ სასამართლო პროცესზე მიცემულ ჩვენებას, რომ მათზე თავდასხმა ძმებ კაკულიებს არ განუხორციელებიათ.

პროკურორის თქმით, ბრალდებულების გამტყუნება თუ გამართლება საბოლოოდ სასამართლოს პრეროგატივაა და შესაბამისად, დაზარალებულები ბრალდებულებს ვერ გაამართლებენ. როგორც პროკურორმა აღნიშნა, როდესაც ძმებ კაკულიებს ბრალი წარუდგინეს, დაზარალებულების – სერგი ქურთიაშვილის და გიორგი კაჭკაჭაშვილის მიერ მიწოდებულ ჩვენებას მაინცდამაინც არ ემყარებოდნენ იმიტომ, რომ ისინი გამოძიებასთან არ თანამშრომლობდნენ. თამარ ყულჯანაშვილის განმარტებით, ბრალდება ემყარება სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც ობიექტური და ნეიტრალურია.

რაც შეეხება მტკიცებულებებსა და მათ შორის, დაზარალებულების ჩვენებას, საქმე იმაშია, რომ ბრალდების მხარეს წარმოდგენილი და გამოკვლეული აქვს იმდენად მყარი მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომ დაცვის მხარის ყოველგვარი მცდელობა არის ფუჭი, – აცხადებს თამარ ყულჯანიშვილი და იქვე აღნიშნავს, რომ „დაცვის მხარის ნებისმიერი მცდელობა აღმოჩნდება ფუჭი, ხელი შეუშალოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას და პასუხისმგებლობიდან ბრალდებულების არიდებას“.

– ბრალდების მხარეს საქმეში იმდენად მყარი მტკიცებულებები აქვს წარმოდგენილი, რომ თუნდაც დაზარალებულების მეშვეობით სასამართლო გარკვეულ შეცდომაში შეიყვანონ და ბრალდებულები პასუხისმგებლობას აარიდონ, ეს მცდელობა გამართლებული ვერ იქნება. საქმეში წარმოდგენილია ერთ-ერთი ყველაზე ობიექტური მტკიცებულება და ეს არის ვიდეოჩანაწერები. მასში ნათლად ასახულია ბრალდებულთა აღნაგობა, ჩაცმულობა, იარაღებიც, პისტოლეტები, რომ გასროლა ნამდვილად ხორციელდება ორი სხვადასხვა იარაღით და გასროლას ორი სხვადასხვა პირი ახორციელებს. შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნით დგინდება, რომ შემთხვევის ადგილზე ორი სხვადასხვა იარაღიდან იყო გასროლა, – განაცხადა თამარ ყულჯანიშვილმა და აღნიშნა, რომ ეს იარაღები გამოძიებას ამოღებული აქვს თუ არა, დეტალებზე დასკვნით სიტყვაში იტყვის.

მისი თქმით, მაშინ, როდესაც დაზარალებულები სერგი ქურთიაშვილი და გიორგი კაჭკაჭაშვილი აცხადებენ, რომ ძმები კაკულიები არ არიან თავდამსხმელები, საქმეში წარმოდგენილი ჰაბიტოსკოპიური დასკვნით დგინდება, რომ პირები, რომლებიც შემთხვევის ადგილიდან გადაადგილდებიან, ნამდვილად ძმები დავით და გურამ კაკულიები არიან.

პროკურორის თქმით, ბრალდების მხარეს წარმოდგენილი ჰყავდა აბსოლუტურად ნეიტრალური მოწმე, ფაქტის შემსწრე, რომელმაც ცალსახად დაადასტურა, რომ მან ერთ-ერთი პიროვნების აღწერილობა დაინახა, ამოიცნო და ეს არის გურამ კაკულია.

კითხვაზე, დაცვის მხარემ განახორციელა თუ არა მოწმეებზე ზეწოლა, რათა სასურველი ჩვენება მიეღო, პროკურორი პასუხობს, რომ ამ ეტაპზე, დამატებითი შეფასებებისგან თავს შეიკავებს.

– ამ ეტაპზე თავს შევიკავებ შეფასებებისგან, რადგანაც ფაქტია, რომ დაზარალებულებმა (გიორგი კაჭკაჭაშვილმა და სერგი ქურთიაშვილმა) სახელმწიფო საზღვარი დაკითხვამდე გარკვეული პერიოდით ადრე დატოვეს. მათთან დაკავშირება ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად ბრალდების მხარემ ვერ შეძლო, თუმცა მათთან დაკავშირება შეძლო დაცვის მხარემ.

კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ დაზარალებულები ჯერ კიდევ გამოძიების ეტაპზე გამოძიებასთან თანამშრომლობით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდნენ. დღევანდელ პროცესზე ეს დადასტურდა, – განაცხადა თამარ ყულჯანიშვილმა.

ცნობისთვის, ძმებ კაკულიებს არაყიშვილის ქუჩაზე სერგი ქურთიაშვილის ჯგუფურად მკვლელობის მცდელობას ედავებიან, რა დროსაც დაშავდა გიორგი კაჭკაჭაშვილიც. ძმებს ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას, ტარებას, ასევე, საზღვრის უკანონო კვეთასაც ედავებიან. აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება ასევე ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება ძმებ კაკულიების მიერ სხვა დანაშაულებრივ ფაქტებთან, მათ შორის, ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმესთან შესაძლო შემხებლობასთან დაკავშირებით.

საგამოძიებო უწყების ცნობით, ბრალდებულებმა დანაშაული სომხეთშიც ჩაიდინეს, სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები სომხეთის შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან აქტიურად თანამშრომლობენ.

მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი, რომელიც 7 ნოემბრის მოვლენებს ეხება, გადაიდო

საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი, რომელიც 7 ნოემბრის მოვლენებს ეხება, გუშინაც გადაიდო. შემდეგი სასამართლო სხდომა 15 თებერვალს, 15:00 საათზე ჩაინიშნა.

მოსამართლემ 25 იანვარს გამართულ პროცესზე პენიტენციარული სამსახურის ოქმი წაიკითხა, სადაც აღნიშნულია, რომ მიხეილ სააკაშვილმა, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სხდომაზე დასწრებასა და დისტანციურად ჩართვაზე უარი განაცხადა. სააკაშვილმა ასევე უარი თქვა მისი დასწრების გარეშე პროცესის ჩატარებაზე.

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატ შოთა თუთბერიძის განცხადებით, ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, პროცესის ჩატარება რეალისტური არც იყო.

– ჩვენ ვიცით, რომ პრეზიდენტი, გარდა იმ ძალიან მძიმე ავადმყოფობისა, რაც აქვს, დამატებით დაინფიცირდა კოვიდით. მისი მდგომარეობა არის გაუარესებული, ამიტომ დღეს სხდომის ჩატარება, ბუნებრივია, არც იყო რეალისტური, – განაცხადა შოთა თუთბერიძემ.

ცნობისთვის, სახელმწიფო ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას ედავება. საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს, რამაც ფიზიკური, ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების, ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. აღნიშნული ბრალი სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. აღნიშნულ საქმეში სააკაშვილთან ერთად ბრალდებულები არიან ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი და გიგი უგულავა.

ყალბი დოკუმენტების დამზადება — დაკავებულია ორი პირი



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გასაღების ფაქტზე, სამეგრელოს რეგიონში ორი პირი დააკავეს. ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთი ბრალდებული, რომელსაც ტურისტული მომსახურების ოფისი გააჩნდა, დაინტერესებულ პირებზე, შესაბამისი თანხის გადახდის სანაცვლოდ, დანაშაულებრივ ქმედებაში თანამონაწილე პირის მეშვეობით, ამზადებდა და ასაღებდა უცხოურ ყალბ პირადობის მოწმობებს.

ბრალდებული პირები მხილებულ იქნენ ერთ-ერთ მოქალაქეზე 800 ევროს სანაცვლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქის ყალბი პირადობის მოწმობის გასაღების ფაქტზე.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, აღმოჩენილ იქნა უცხო ქვეყნების ათეულობით მოქალაქის ყალბი პასპორტების, ასევე ქართული მართვის მოწმობების ელექტრონული ვერსიები.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სხვა დამნაშავე პირების დადგენა-მხილების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები ტარდება.

ვინ არის 48 წლის ქალი, რომელიც აბიტურიენტების ოჯახებს ფულს სძალავდა

პოლიციამ თაღლითობის ბრალდებით 48 წლის ქალი დააკავა. გამოძიების ინფორმაციით, ლია ვაჩაძე აბიტურიენტების ოჯახებს ატყუებდა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანი იყო და შეეძლო, ეროვნული გამოცდების გვერდის ავლით უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა. ის რეგიონებში მცხოვრებ სტუდენტებს თბილისში ბინით უზრუნველყოფასაც ჰპირდებოდა.

საქმეში პროკურატურა მას შემდეგ ჩაერთო, რაც დაზარალებულებმა აღმოაჩინეს, რომ მსგავსი ვინაობით ტექნიკურ უნივერსიტეტში საერთოდ არავინ მუშაობდა. „კურიერთან“ საუბრისას დაზარალებულები ჰყვებიან, რომ მეტი დამაჯერებლობისთვის ლია ვაჩაძე აბიტურიენტებს ონლაინგაკვეთილებსაც უტარებდა.

თავად ბრალდებულს ჩვენება ჯერ არ მიუცია, თუმცა გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის მზადაა. როგორც ადვოკატი „კურიერთან“ ამბობს, დაკავებული შოკურ მდგომარეობაშია და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დაკითხვის საშუალებას არ იძლევა. ბრალდებულის ინტერესების დამცველი არ უარყოფს, რომ გამოძიების მასალებში საუბარია დაახლოებით 120 ათასი ლარის თაღლითურად დაუფლებაზე. სავარაუდო დანაშაული 2019 წლიდან 2022 წლამდე პერიოდს მოიცავს.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე თაღლითობაში ბრალდებულ ქალს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. თვითმარქვია დეკანის წინააღმდეგ პროკურატურაში უკვე 10 საჩივარი დევს, თუმცა გამოძიება დაზარალებულთა წრის გაფართოებას არ გამორიცხავს.

თაღლითობაში ბრალდებული ახლა პენიტენციარულ დაწესებულებაშია. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, მას ციხეში, მინიმუმ, ექვსი წლის გატარება მოუწევს.

რუსთავში დედას, რომელიც 6 წლის შვილთან ერთად ქვეითად გადაადგილდებოდა, მანქანა დაეჯახა

არსებული ინფორმაციით, რუსთავში ქვეითად მოსიარულე დედაშვილს ავტომობილი დაეჯახა.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ცნობით, 6 წლის ბავშვს და მის 30 წლამდე დედას ავტომობილი მაშინ დაეჯახა, როდესაც ქვეითად გადაადგილდებოდნენ.

დაშავებულები სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა.

როგორც „ინფო რუსთავს“ სამედიცინო დაწესებულებაში განუცხადეს, ახალგაზრდა ქალს მსუბუქი დაზიანებები აღენიშნებოდა და კლინიკიდან გაწერეს, ხოლო 6 წლის ბიჭს მარცხენა ლავიწის მოტეხილობა და ტვინის შერყევა აქვს, რის გამოც კლინიკაში რჩება. მისი მდგომარეობა სტაბილურია.

„საცხოვრებელი ბინიდან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ჩამოიტანა და მოლარე-ოპერატორის მიმართულებით გაისროლა“

საქართველოს პროკურატურამ, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 23 იანვარს თბილისში ვაზისუბნის პირველი მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე წარსულში არსებული კონფლიქტის გამო წარმოშობილი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ბრალდებული და სუპერმარკეტ „ბესტ მარკეტის“ მოლარე ოპერატორი, ასევე ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სუპერმარკეტის მომხმარებელი ფიზიკურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. აღნიშნულით განაწყენებულმა ბრალდებულმა მისი საცხოვრებელი ბინიდან მასზე რეგისტრირებული ნახევრად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ჩამოიტანა და მოლარე ოპერატორის მიმართულებით რამდენიმეჯერ გაისროლა. დაზარალებულმა მიმალვა მოახერხა, თუმცა მასთან ერთად მყოფმა ორმა პირმა დაზიანებები მიიღეს.

სამართალდამცავებმა ბრალდებული 23 იანვარს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა დამამძიმებელ გარემოებებში ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

უკრაინა-რუსეთი: გადამწყვეტი ბრძოლები ახლოვდება



რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ყველაზე ცხელი წერტილი კვლავ დონბასია. ამის თაობაზე დაწვრილებით ისაუბრა თეთრი სახლი წარმომადგენელმა ჯონ კირბიმ.

დღეისათვის ბრძოლები რუსების გეგმის მიხედვით არ მიმდინარეობს. სოლედარი, მიუხედავად უდიდესი მცდელობებისა, არ არის აღებული. ქალაქი დაინგრა. მის ცენტრში იმყოფებიან რუსები, გარეუბნებში კი – უკრაინელები. რუსულ და უკრაინულ პოზიციებს შორის სულ 4 კმ-ია. ცხადია, რომ ასეთი ვითარება დიდხანს ვერ გაგრძელდება.

– იანვარში ყინვებმა უკვე მინუს 15 გრადუსს მიაღწია! ასეთ პირობებში სანგარს ვერ გათხრი! ასე რომ, სოლედარის ცენტრში მყოფმა რუსებმა ან წინ უნდა წაიწიონ, ან უკან დაიხიონ! – იტყობინება „აპოსტროფ ტივი“.

უკრაინის სამხედრო დაზვერვის ცნობით, დიქტატორმა პუტინმა სამხედროების წინაშე მოკლე, ლაკონიური ამოცანა დასვა: ამა წლის მარტისათვის დონბასი ოკუპირებულ უნდა იქნეს. რუსებს გაუჭირდათ სოლედართან, ბახმუტთან, ავდეევკასთან. კრიტიკული ვითარებაა კრემენოე-სვატოვოსთან.

უშიშროების საბჭოს სხდომაზე პუტინმა აღიარა, რომ დონბასსა და უკრაინის სამხრეთში მძიმე ვითარებაა. პუტინმა თქვა, რომ უკრაინელებს ოკუპირებული აქვთ ხერსონი, თუმცა მოსახლეობამ რუსეთში შესვლა მოითხოვა. იგივე შეიძლება ითქვას ზაპოროჟიეს ოლქის უდიდეს ნაწილზეც. ტერაქტები არ წყდება მარიუპოლში, ბერდიანსკში. რაც შეეხება დონბასს, აქ სასტიკი ბრძოლები გრძელდება. ეს თანაბრად ეხება როგორც დონეცკის, ისე ლუგანსკის ოლქს.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჯონ კირბიმ განაცხადა, რომ უახლოესი კვირები და თვეები დონბასისათვის გადამწყვეტი იქნება. რუსეთი აქ დამატებით ძალებს გადასხამს და რაც შეიძლება მეტი ტერიტორიების დაკავებას შეეცდება. ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება უკრაინისათვის სამხედრო დახმარების გაძლიერებას.

ომი გრძელდება. რუსების დანაკარგმა უკვე 123.000-ს მიაღწია. მიუხედავად ამისა, რუსეთი დონბასში ფართომასშტაბიანი შეტევისთვის მაინც ემზადება. პარალელურად რუსეთი დეზინფორმაციის გავრცელებასაც აძლიერებს. ასე მაგალითად, რუსულ მედიაში გამოქვეყნდა ე.წ. საიდუმლო გეგმა უკრაინის გაყოფის შესახებ. ის თითქოს პოლონეთის გენშტაბში იქნა შემუშავებული. სინამდვილეში, პოლონეთი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ უკრაინას ტანკები მიაწოდოს. პრეზიდენტმა დუდამ ცალსახად განაცხადა, რომ იქმნება კოალიცია, რომელიც უკრაინას ტანკებს მიაწვდის.

ბაიდენი ძალადობის წინააღმდეგ

აშშ-ის პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა, რომ აშშ შეიარაღებულმა ექსცესებმა მოიცვა. კალიფორნიაში მომხდარი ინციდენტი ამის ნათელი მაგალითია.

რუსი ოკუპანტების დანაკარგები იზრდება

უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. რუსები კვლავაც ჯიუტად ცდილობენ, გადავიდნენ შეტევაზე, მაგრამ – წარუმატებლად. ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

24.01.2023

ტანკები – 3.152;

არტილერია – 2.148;

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები – 220;

თვითმფრინავები – 289;

ვერტმფრენები – 281;

უპილოტო საფრენი საშუალებები – 1.897;

ფრთოსანი რაკეტები – 749;

გემები |– 18;

განადგურებულია 123.080 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დაძაბული ვითარებაა ბახმუტთან

უკრაინაში ბრძოლები გრძელდება. ყველაზე ცხელი წერტილებია ბახმუტი, სოლედარი, ავდეევკა.

რუსი ოკუპანტების ყველა მცდელობა, სოლედარზე სრული კონტროლი დაემყარებინათ, მარცხით დამთავრდა. უკრაინელი მეომრები კვლავაც ქალაქის გარეუბნებში არიან გამაგრებულნი.

დაძაბული ვითარებაა ბახმუტთან. რუსი ოკუპანტები ცდილობენ, ქალაქს ფლანგებიდან შემოუარონ.

ბრძოლებია უკრაინის სამხრეთშიც. უკრაინელებმა შეაჩერეს რუსი ოკუპანტების შეტევა ზაპოროჟიეზე და აიძულეს ისინი, წინანდელ პოზიციებზე დაბრუნებულიყვნენ. რუსებმა დიდი დანაკარგით დაიხიეს უკან. პასუხად რუსებმა ხერსონი და მისი მიმდებარე ტერიტორიები დაბომბეს.

პასუხად უკრაინელმა პატრიოტებმა განახორციელეს დივერსიული აქტები ოკუპირებულ ბერდიანსკში, მარიუპოლში და ა.შ. ბერდიანსკში უკრაინელებმა ადგილობრივი კოლაბორაციონისტის მამაის ავტომობილი ააფეთქეს. მამაის მდგომარეობა მძიმეა.

ჯონსონი აღშფოთებულია

ბრიტანეთის ექსპრემიერი ჯონსონი უკრაინას ეწვია. ჟურნალისტებთან საუბარში მან აღნიშნა, რომ როგორც ყველაფრიდან ჩანს, რუსეთი მასშტაბური შეტევისათვის ემზადება და ამიტომ უკრაინას მეტი იარაღი ესაჭიროება. მიუხედავად ამისა, დასავლეთი გაუგებარ გაუბედაობას იჩენს.

პოლონეთმა გერმანიას მიმართა

პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა ბლაშჩაკმა ოფიციალურად მიმართა გერმანიის მთავრობას, რათა უფლება მისცენ, გადასცენ უკრაინას ლეოპარდის ტიპის ტანკები. ბლაშჩაკმა დაამატა:

– თუ გერმანია გაჯიუტდა, ტანკებს მათი ნებართვის გარეშე გადავცემთ უკრაინელებს!

თანახმად რადიო „თავისუფლების“ ცნობისა, გერმანია დათანხმდა, რათა უკრაინას ლეოპარდის ტიპის ტანკები გადასცენ. პირველი პარტია უკვე გზაშია.

სპორტი

უეფა ახალ შესარჩევს გეგმავს

შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარე უეფას შტაბბინაში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა, სადაც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ევროპული შესარჩევი ეტაპისა და ერთა თასის რეფორმებს განიხილავენ.

როგორც უკვე ცნობილია, ფიფა მსოფლიოს ჩემპიონატს ახალი ფორმატით ჩაატარებს და 48 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. აქედან 16 ევროპული იქნება. სწორედ ამან გამოიწვია რეფორმა ევროპულ ფეხბურთშიც.

მოსალოდნელია, რომ შესარჩევ ეტაპზე 12 ჯგუფი შეიქმნება. გუნდები, რომლებიც პირველ ადგილებს დაიკავებენ, მუნდიალზე პირდაპირ გავლენ, ხოლო დანარჩენ 4 საგზურს მეორეადგილოსანი ფლეი ოფში გაინაწილებენ. თუმცა, ეს არ არის ერთადერთი ვარიანტი...

უეფა ასევე ერთა ლიგის რეფორმასაც განიხილავს. თუ აქამდე „ოთხთა ფინალში“ ა დივიზიონის ჯგუფების გამარჯვებულები გადიოდნენ, ახლა შესაძლოა, ფლეი ოფიც გაჩნდეს, რომელშიც მონაწილეობას მეორეადგილოსნებიც მიიღებენ.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის 32 გუნდამდე გაზრდას, ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო ჯერჯერობით თავს იკავებს, თუმცა, არ გამორიცხავენ, რომ 2028 წლისთვის უკვე ახალი ფორმატით ჩატარდეს.

სანამ უეფა ახალ რეფორმებზე ფიქრობს, მანამდე 2022-23 წლების ერთა ლიგის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. ოთხთა ტურნირს ნიდერლანდები უმასპინძლებს, ხოლო ჩემპიონობისთვის ა დივიზიონის გამარჯვებულები ითამაშებენ: ნიდერლანდები, ხორვატია, იტალია და ესპანეთი.

ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან: 14 ივნისი. ნიდერლანდები-ხორვატია (როტერდამი); 15 ივნისი. ესპანეთი-იტალია (ენსხედე)

მესამე ადგილისთვის მატჩი და ფინალი 18 ივნისს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა ერთა ლიგის ბოლო, რიგით მესამე გათამაშებაში C დივიზიონში ითამაშა, ჯგუფი მოიგო და B დივიზიონის საგზურთან ერთად, ევრო 2024-ის ფლეი ოფში თამაშის უფლება მოიპოვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

ლეგენდარული საცეკვაო შოუ „ანატოლიის ცეცხლი“ თბილისის საკონცერტო დარბაზში გაიმართება



9 თებერვალს თბილისის საკონცერტო დარბაზის სცენაზე ლეგენდარული საცეკვაო შოუ „ანატოლიის ცეცხლი“ გაიმართება.

თურქული ცეკვის ანსამბლის მიერ დადგმული შოუს მონაწილეები საქართველოს მსოფლიო ტურნეს ფარგლებში ეწვევიან, რომელიც ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო. მოცეკვავეებმა იმოგზაურეს 106 ქვეყანაში და 45 მილიონზე მეტ მაყურებელს წარუდგინეს საკუთარი ნამუშევარი: ახალი ზელანდია, სამხრეთი კორეა, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, აზორები, მექსიკა, იაპონია, ჩილე, ჩინეთი – ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ქვეყნებისა, სადაც „ანატოლიის ცეცხლი“ ნახეს.

შოუს ელემენტებს ხშირად იყენებენ მსოფლიო მასშტაბის შოუების გახსნაზე – ფორმულა 1-ზე ბაჰრეინში, აზიის ოლიმპიურ თამაშებზე ყატარში, 2008 წლის ოლიმპიადაზე, აზიური ცივილიზაციების კულტურულ კარნავალზე ჩინეთში, უეფას თასის ფინალზე სტამბოლში.

პროგრამებით „ანატოლიის ცეცხლის ევოლუცია“ და „ტროა“ შოუს მონაწილეები გამოდიოდნენ მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ადგილებში: მედისონ სკვერ გარდენში ნიუ იორკში, მიუნხენის ოლიმპიურ დარბაზში, სამჯერ პეკინში სახალხო კრებების სახლში, პარიზის კონგრესების სასახლეში, ძველი თურქეთის ქალაქ ასპენდოსის ამფითეატრში, ეგვიპტის პირამიდებში.

თურქული ცეკვის ანსამბლი „ანატოლიის ცეცხლი“ ორჯერ აღინიშნა გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე სწრაფი საცეკვაო შესრულება (241 ნაბიჯი წუთში) და უდიდესი აუდიტორია (400 ათასი მაყურებელი თურქულ ერეგლში).

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

დედამ ლოთი შვილის მოსაკლავად მკვლელი დაიქირავა

ინდოეთის ანდხრა-პრადეშის შტატში ქალმა მკვლელი თავისი ლოთი მოზრდილი შვილის, რომელიც მას ხშირად სცემდა, თავიდან მოსაშორებლად დაიქირავა.

ვირა ვენკატა სივა პრასადა დედასთან, კანაგე დურგთან საცხოვრებლად მას შემდეგ გადავიდა, რაც ცოლთან იჩხუბა. ის სახლში მუდმივად მთვრალი ბრუნდებოდა და ქალს ფიზიკურად უსწორდებოდა. დურგას მოთმინების ფიალა აევსო და თავის შორეულ ნათესავს სთხოვა, მოეძებნა მისთვის მკვლელი პრასადას მოსაკლავად. ნათესავმა ქალი პროფესიონალ მკვლელთან დააკავშირა, რომელიც მას შეჰპირდა, რომ 130 ათასი რუპიის სანაცვლოდ მის შვილს მოკლავდა.

მკვლელი თანამზრახველთან ერთად პრასადას რკინიგზის მახლობლად დაესხა თავს და სერიოზული დაზიანებები მიაყენა. ამის შემდეგ დამნაშავეები, რომლებიც დარწმუნებული იყვნენ, რომ მსხვერპლი მოკლეს, შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, თუმცა ჯერ კიდევ ცოცხალი მამაკაცი რკინიგზის თანამშრომელმა აღმოაჩინა და საავადმყოფოში გადაიყვანა. ამის წყალობით პრასადა სიკვდილს გადაურჩა.

პოლიციამ დამნაშავეების პოვნა შეძლო, შემდეგ კი იპოვა და დააპატიმრა მკვლელობის შემკვეთიც. დაკითხვაზე ქალმა დანაშაული აღიარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ფრინველების ექსკრემენტებით დაფარული ნახატი შედევრი აღმოჩნდა

ამერიკის ფერმაში ფრინველების ექსკრემენტებით დაფარული ნახატი ცნობილი ფლამანდრიელი მხატვრის ანტონიო ვან დეიკის ნამუშევარი აღმოჩნდა. მისი ნაწარმოები სამ მილიონ დოლარად იქნა შეფასებული.

ზეთის საღებავებით შესრულებული ნახატი 2002 წელს ამერიკის ნიუ-იორკის შტატის დასახლება კინდერჰუკში აღმოაჩინეს. როდესაც სურათი აუქციონზე გამოიტანეს, ადგილობრივმა კოლექციონერმა ალბერტ ბ.რობერტსმა ივარაუდა, რომ ის ნიდერლანდების ოქროს ხანას განეკუთვნებოდა და 600 დოლარად შეიძინა.

ხელოვნების ნაწარმოების ნამდვილობა 2019 წელს დადასტურდა, როდესაც ხელოვნებათმცოდნე სიუზან ბარნსმა ის ვან დეიკის საოცრად კარგად შემონახულ შედევრად აღიარა. სპეციალისტების დასკვნით, ის ნიდერლანდელი მხატვრის კარიერის დასაწყისს განეკუთვნება. მასზე გამოსახულია მოხრილი მოხუცი მამაკაცი, რომელსაც სახეს ჩრდილი უფარავს, ხოლო დაკუნთული სხეული ნათლადაა წარმოდგენილი.

2021 წელს კოლექციონერი ალბერტ ბ.რობერტსი გარდაიცვალა. ვან დეიკის ნამუშევარს ნიუ-იორკში გამართულ სოტბის აუქციონზე გამოფენენ სხვა არც ისე დიდი ხნის წინ აღმოჩენილ ევროპული ხელოვნების შედევრებთან ერთად.

მეგობრის საჩუქარმა გოგონა გაამდიდრა

ამერიკის მიჩიგანის შტატის ქალაქ დეტროიტის მცხოვრებმა გოგონამ მეგობრის მიერ ნაჩუქარი ლატარიის ბილეთის წყალობით ჯეკპოტი მოხსნა.

19 წლის გოგონამ, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ მეგობართან ერთად ავტოგასამართ სადგურზე შეიარა. სანამ ისინი თავიანთ რიგს უცდიდნენ, მეგობარმა ლატარიის ბილეთი უყიდა და უთხრა, რომ ამით მისთვის პატარა საჩუქრის გაკეთება სურდა. შედეგად კი ამ პატარა საჩუქარმა გოგონას სიმდიდრე მოუტანა.

– ჩვენ ერთად შევამოწმეთ ბილეთი და ვნახეთ, რომ ჯეკპოტი მოვხსენი. სიხარულისგან ყვირილი და ადგილზე ხტუნვა დავიწყეთ, – განაცხადა ლატარიის გათამაშების გამარჯვებულმა.

გოგონა ლატარიის შატ-ბინაში მივიდა და კუთვნილი მოგებული თანხა, 613 ათასი დოლარი მიიღო.

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

გიორგი ჭელიძე: „სამგურალი მზარდი გუნდია და ყოველ წელიწადს პროგრესირებს“

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის გასული სეზონის აღმოჩენა წყალტუბოს სამგურალი იყო, რომელსაც ბოლო მატჩი დააკლდა ევროტურნირების საგზური მოეპოვებინა. თუმცა, სეზონის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ერთი ის, რომ გუნდი დატოვა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი მიქაძემ. მის ნაცვლად იმერული კლუბი გიორგი ჭელიძეს ჩააბარეს.

სამგურალი ახლა თურქულ შეკრებაზეა და ახალი სეზონისთვის ემზადება. თუ როგორ, ამაზე მთავარი მწვრთნელი საუბრობს.

გიორგი ჭელიძე:

– სამგურალი კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, კარგი სელექციაა ჩატარებული. ბოლო წლებში გუნდმა დიდ პროგრესს მიაღწია. ლიგა 3-დან დაიწყო და ორ წელიწადში უმაღლეს ლიგაში გადავიდა. ამით ქართულ ფეხბურთს საინტერესო და ამბიციური კლუბი შეემატა.

სამგურალი მზარდი გუნდია, ყოველ წელიწადს პროგრესირებს. რა თქმა უნდა, ჩემთვის ასეთ გარემოში მუშაობა ძალიან სასიხარულოა.

კლუბის ხელმძღვანელობას აქვს გეგმა, რომლისკენაც ეტაპობრივად მიდის და ცდილობს, მიუახლოვდეს იმ მიზანს, რაც დასახული აქვს. რადგან ნდობა გამომიცხადეს და მთავარი მწვრთნელობა შემომთავაზეს, ესე იგი, მიაჩნიათ, რომ ამ სამსახურისთვის მზად ვარ. ძალიან მიყვარს ის საქმე, რომელსაც ვაკეთებ და ახალი გამოწვევების არ მეშინია.

წინასწარ მიზნებზე ვერ ვისაუბრებ... ზოგადად, ჩვენი კლუბის, გულშემატკივრებისა და ყველას მიზანი და სურვილია, რომ სამგურალმა მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს.

– გუნდი ამ ეტაპზე რა კუთხით მუშაობს?

– პირველი ორკვირიანი შეკრება ძირითადად ფიზიკურ კონდიციების გაუმჯობესებას ეთმობა, მძიმე და შრომატევადი სამუშაოები მიმდინარეობს როგორც ფიზმომზადებაში, ასევე – ტაქტიკურ-ტექნიკური კუთხით.

თითოეული ფეხბურთელი მაქსიმალურად იხარჯება, რაც ყველაზე მეტად მახარებს და იმედს მაძლევს. ჩვენს გუნდში ვერ ითამაშებს ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ბოლომდე არ დაიხარჯება.

პირველი შეკრების ბოლოს ბულგარეთის მონტანას ვხვდებით, შემდეგ დავისვენებთ და მოვემზადებით დასკვნითი ეტაპისთვის, რომლის დროსაც რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გავმართავთ.

3 თებერვალს აზიის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, ტაშკენტის პახტაკორს დავუპირისპირდებით, 10 თებერვალს კი, უკრაინის უმაღლესი ლიგის კლუბ კოლოსს შევხვდებით. მეორე შეკრების დაწყებამდე სხვა მეტოქეების ვინაობაც გვეცოდინება.

– გაძლიერება თუ იგეგმება?

– ლევან ხმერიკი და ვანიკო მახარაძე ჩემთან ერთად თელავშიც იყვნენ. ადრე ერთად ვთამაშობდით ბათუმის დინამოში, შემდეგ ერთად დავამთავრეთ უეფას პროლიცენზიის კურსები. ძალიან ნიჭიერი და განათლებული ბიჭები არიან.

მათთან ერთად ძალიან მიადვილდება მუშაობა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ კლუბში მეკარეების ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ლევან აბაშიძე და თავისი საქმის პროფესიონალი, ფიზმომზადების სპეციალისტი ოთო საბანაძე დაგვხვდნენ.

ასევე, ძალიან კარგი სამედიცინო შტაბი გვყავს. პროფესიონალები არიან, თავისი საქმე და სამგურალი ძალიან უყვართ. გუნდი დაკომპლექტების პროცესშია. თურქულ შეკრებაზე შემოგვიერთდა ბრაზილიელი მარცხენა მცველი ლუიზ ფერნანდო. ფინეთიდან შემოგვიერთდა განელი ნახევარმცველი ჯუდ არტური, რომლის კონტრაქტიც ხელმოსაწერად უკვე მზად არის.

რამდენიმე პოზიციაზე კიდევ ვგეგმავთ გაძლიერებას, ფეხბურთელებს ვეძებთ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ ვჩქარობთ. ვცდილობთ, მოვიყვანოთ ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენს გუნდს კარგად შეეწყობიან და ჩვენს სათამაშო სტილს მოერგებიან.

გილმორის გუნდიდან წასვლა საწყენია, მაგრამ ფეხბურთია, გუნდი ცოცხალი ორგანიზმია, ვიღაც მიდის და მის ნაცვლად სხვა მოდის. ეს ჩვეულებრივი პროცესია.

– სამგურალს კარგი გულშემატკივრები ჰყავს, მაგრამ ხდებოდა, რომ გუნდი საშინაო მატჩებს საკუთარ ქალაქში ვერ ატარებდა. სეზონის დასაწყისში ახლა ასე მოუწევს.

– მიხარია, რომ სამგურალს კარგი მოედანი ექნება და საშინაო მატჩებს საკუთარ კედლებში ჩაატარებს. გუნდის წარმატებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

სანამ მოედანი მზად იქნება, მანამდე სად გავმართავთ საშინაო მატჩებს, სიმართლე გითხრათ, ამის თაობაზე არ ვართ ჩამოყალიბებული. სავარაუდოდ, რამდენიმე შეხვედრას ზესტაფონში ჩავატარებთ, მალე კი ახალი სავარჯიშო და სათამაშო მოედნები გვექნება და წყალტუბოში დავბრუნდებით.

ქომაგზეც მინდა ვთქვა, სამგურალს მაგარი და ერთგული გულშემატკივრები ჰყავს, მათი ძალიან მეიმედება. დარწმუნებული ვარ, გვერდით დაგვიდგებიან, როგორც საშინაო თამაშებზე, ასევე, გასვლით შეხვედრებში.

გულშემატკივრების მხარდაჭერა წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ყოველთვის მზად ვიქნები მათთან კომუნიკაციისთვის, მოვისმენ მათ გულისტკივილს. მათი აქტიური მხარდაჭერით სამგურალი კიდევ უფრო ბრძოლისუნარიანი იქნება.

შერმადინმა მაკფადენსა და ანდრონიკაშვილს მოუგო

საკალათბურთო ჩემპიონთა ლიგაში ქართველთა გუნდები გადაიკვეთნენ: გიორგი შერმადინის ტენერიფე შინ თად მაკფადენისა და რატი ანდრონიკაშვილის მურსიას დაუხვდა და 20 ქულით, 85:65 დაამარცხა.

შერმადინმა 26 წუთში 7 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველმა ცენტრმა 5-დან 2 ორქულიანი და 5-დან 3 საჯარიმო ჩააგდო. მაკფადენმა 14:21 წუთში 2 ქულა და 2 პასი დააგროვა. თადმა მხოლოდ საჯარიმოები ჩააგდო – 4-დან 2, ხოლო 2 ორქულიანი და სამქულიანი ააცილა. ანდრონიკაშვილმა ყველაზე ცოტა, 5:37 წუთი გაატარა პარკეტზე და 1 მოხსნით და 2 პასით გამოირჩა. რატიმ 1 ორქულიანი ააცილა.

ტენერიფე ჯგუფის ლიდერია, მომდევნო ტურში, 1 თებერვალს, თურქულ დარუშაფაქას ეთამაშება, ხოლო მურსიას მეტოქე 31 იანვარს ჯგუფის მესამე ესპანური გუნდი, ბილბაო, იქნება.

ახალგაზრდულ ფესტივალზე ქართველები ვერ ყოჩაღობენ

ევროპის ზამთრის მე-16 ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე პირველი სარბიელზე გავიდა სნოუბორდისტი ნიკოლოზ გაბულდანი გავიდა.

ჩვენებურმა საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი დაშვების ჯამში 23.0 ქულა დააგროვა და 24 მონაწილეს შორის გამოსვლა მე-19 შედეგით დასრულა, ხოლო ფინალში ასპარეზობისთვის 12 საუკეთესოს შორის გასვლა იყო საჭირო. შედეგად, გაბულდანი ფინალს მიღმა დარჩა.

შემდეგ საქმეში ტრამპლინიდან ხტომელები ჩაერთნენ. საქართველოს წარმოადგენდნენ გიორგი მიქელაძე და გიორგი დიაკონოვი. ინდივიდუალური ხტომების პირველ წრეში ასპარეზობას 45 ტრამპლინიდან მხტომელი შეუდგა. დიაკონოვი 43,7 ქულით 43-ე ადგილზე გავიდა, 32 ქულით 44-ე იყო მიქელაძე.

აქ ფინალში ასპარეზობისთვის 30 საუკეთესოს შორის მოხვედრა იყო საჭირო.

იტალიაში სარბიელზე ნიკოლოზ გაბულდანი, ლუკა ბურდული, ლევან ნაზღაიძე, ოთარ წულეისკირი (სამთო თხილამურები, გიგანტური სლალომი) და კონსტანტინე სუპატაშვილი (ფიგურული ციგურაობა, მოკლე პროგრამა) გავლენ.

ზამთრის ოლიმპიური ფესტივალზე 47 ქვეყანა მონაწილეობს. მათ შორის არის საქართველო, რომელიც სპორტის 4 სახეობაში (სამთო თხილამურები, ფიგურული ციგურაობა, ტრამპლინიდან ხტომა, სნოუბორდი) 8 სპორტსმენით არის წარმოდგენილი.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

მავრიტანია-მალი	1:0
ნიგერი-კამერუნი	1:0

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲚᲘ�გᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

საუთჰემპტონი-ნიუკასლი	0:1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ

შალკე-ლაიფციგი	1:6
ბაიერნი-კიოლნი	1:1
ჰერტა-ვოლფსბურგი	0:5
ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი	2:2

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ბაიერნი	17	10	6	1	51-15	36
2.ლაიფციგი	17	9	5	3	37-23	32
3.აინტრახტი	16	9	3	4	35-24	30
4.უნიონი	16	9	3	4	27-21	30
5.ფრაიბურგი	16	9	3	4	25-23	30
6.ვოლფსბურგი	17	8	5	4	35-20	29
7.დორტმუნდი	16	9	1	6	29-24	28
8.გლადბახი	16	6	4	6	30-27	22
9.ლევერკუზენი	16	6	3	7	28-28	21
10.კიოლნი	17	5	6	6	29-31	21
11.ვერდერი	16	6	3	7	26-34	21
12.მაინცი	16	5	5	6	20-25	20
13.ჰოფენჰაიმი	17	5	4	8	25-27	19
14.შტუტგარტი	17	3	7	7	21-30	16
15.ბოხუმი	16	5	1	10	17-37	16
16.აუგსბურგი	16	4	3	9	21-30	15
17.ჰერტა	17	3	5	9	20-30	14
18.შალკე	17	2	3	12	14-41	9

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ა

ლაციო-მილანი	4:0

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ნაპოლი	19	16	2	1	46-14	50
2.მილანი	19	11	5	3	35-24	38
3.ლაციო	19	14	4	4	35-15	37
4.ინტერი	19	12	1	6	38-25	37
5.რომა	19	11	4	4	25-16	37
6ატალანტა	19	10	5	4	37-23	35
7.უდინეზე	19	7	7	5	27-21	28
8.ტორინო	19	7	5	7	19-20	26
9.ემპოლი	19	6	7	6	17-22	25
10.იუვენტუსი	19	11	5	3	30-15	23
11.ბოლონია	19	6	5	8	24-30	23
12.ფიორენტინა	19	6	5	8	21-25	23
13.მონცა	19	6	4	9	23-28	22
14.ლეჩე	19	4	8	7	18-22	20
15.სალერნიტანა	19	4	6	9	23-37	18
16.სპეცია	19	4	6	9	17-30	18
17.სასუოლო	19	4	5	10	18-29	17
18.ვერონა	19	3	3	13	17-31	12
19.სამპდორია	19	2	3	14	8-32	9
20.კრემონეზე	19	0	8	11	14-33	8

შენიშვნა: იუვენტუსს დაკლებული აქვს 15 ქულა

ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲑᲘ. ᲔᲠᲔᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ემენი-პსვ	1:0
სპარტა-ვალვაიკი	0:0

�პᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ. ᲚᲘᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

არუოკა-სპორტინგი	1:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘᲐ

ავსტრალიის ღია პირველობა დასასრულისკენ მიდის. ნახევარფინალისტები ცნობილია როგორც ვაჟთა, ასევე ქალთა ერთეულთა შორის.

საინტერესოა, რომ საუკეთესო ოთხეულში მოხვდა მაგდა ლინეტი. 30 წლის ჩოგბურთელის საუკეთესო მიღწევა, აქამდე მესამე წრე იყო, ახლა კი...

მაგდამ მეოთხედფინალში კაროლინა პლიშკოვა 6:3, 7:5 დაამარცხა და ნახევარფინალში ბელარუს ჩოგბურთელ არინა საბალენკას შეხვდება, რომელმაც ხორვატი დონა ვეკიჩი 6:3, 6:2 დაამარცხა.

ნახევარფინალშია კიდევ ერთი ბელარუსი ვიქტორია აზარენკა, აწ ამერიკელი ჯესიკა პეგულა 6:4, 6:1 დაამარცხა, მეტოქედ კი ყაზახი ელენა რიბაკინა ეყოლება, რომელმაც ლატვიელ ელენა ოსტაპენკოს 6:4, 6:2 მოუგო.

ვაჟთა შორის, ცხადია, მთავარი ფავორიტი ნოვაკ ჯოკოვიჩია. სერბმა მეოთხედფინალში რუს ანდრე რუბლიოვს მარტივად მოუგო – 6:1, 6:2, 6:4. ნოლეს მეტოქე ამერიკელი ტომი პაული იქნება, რომელმაც მძიმე ბრძოლა გადაიტანა ბენ შელტონთან – 7:6, 6:3, 5:7, 6:4.

მეორე ნახევარფინალური წყვილი კი ბერძენმა სტეფანოს ციციპასმა და რუსმა კარენ ხაჩანოვმა შეადგინეს.

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ქეთო და ილია ჭანტურიები, სოსო ნაყოფია ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბატონი

ᲒᲣᲠᲒᲔᲜ ᲣᲨᲐᲜᲒᲘᲡ ᲫᲔ ᲗᲝᲚᲝᲠᲐᲘᲐᲡ

გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: 28 იანვარს ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში.

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ

ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ᲯᲘᲝᲡᲕᲝᲰᲔᲑᲘ Ბ



შვეულად: 1. მდინარე ისრაელსა და პალესტინაში; 2. ბრიტანული ყველი; 3. შემინული აივანი; 4. არგენტინის ნაკრებისა და „რომას“ ფეხბურთელი; 5. ბიჭის მაღალი სასიმღერო ხმა; 7. ჯიხვების ჯოგი; 11. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 13. წითელ ღვინოში პურისგან მომზადებული შეჭამანდი; 15. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 16. „ფიატის“ ფირმის მცირელიტრაჟიანი მსუბუქი ავტომობილი; 18. რაიმე საქმეში წარმატების მიღწევის შესაძლებლობა; 19. ლეო დელიბის ოპერა.

თარაზულად: 6. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი; 8. ფაიფურის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 9. ფლანდრიელი მხატვარი; 10. რაიონული ცენტრი მესხეთ-ჯავახეთში; 12. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 14. აეროპორტი პეკინში; 17. ქართველი კომპოზიტორი ქალი; 20. უდაბნო ჩილეში; 21. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 22. პოლიგრაფიული საწარმო; 23. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. პლებისციტი; 2. ნოველა; 3. სუპორტი; 4. ჟიური; 5. კონსულო; 6. ებანი; 7. ბენუარი; 9. ბორნეო; 13. სიდრი; 17. ქისი; 18. მზე.

თარაზულად: 1. პაოლინი; 3. საბაჟო; 8. კომბლე; 10. ჯანაოზი; 11. კიტრი; 12. მინკუსი; 14. მცხეთა; 15. ყვირილა; 16. ლექსი; 19. ხარება; 20. ყიფშიძე; 21. საცივი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. იჩქერია; 2. სიროკო; 3. ინტელექტი; 4. შტირია; 5. ზელინსკი; 7. ეირე; 11. სონღული; 13. თიბათვე; 15. პლაცი; 16. შელფი; 18. წრუტო; 19. როდეო.

თარაზულად: 6. ჩიზელი; 8. სიმონია; 9. ენისელი; 10. რევერსი; 12. კოლიე; 14. რამოსი; 17. ტაბაწყური; 20. ლაუდერი; 21. უცნობი; 22. ტუბერი; 23. ნიკოლაძე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 იანვარი

აშშ დოლარი — **2.6491**

ევრო — **2.8788**

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — **3.2581**

100 რუსული რუბლი — **3.8284**

ამინდის პროგნოზი 26 იანვრისათვის



მიკელ არტეტა: „არსენალი არ უნდა მოეშვას“



არსენალის მთავარმა მწვრთნელმა მიკელ არტეტამ თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ არსენალი არ უნდა მოეშვას, რადგან გუნდს წინ კიდევ ბევრი მატჩი აქვს და მათ ჯერ ტიტული არ მოუგიათ: „მინდა, რომ არსენალის ფანებს ვუთხრა, ჯერ ზეიმი ადრეა და ჩვენ კონცენტრაცია არ უნდა დავკარგოთ. შანსი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ და ჩემპიონები გავხდეთ“.

ანჩელოტი: „რეალს კარგი პერიოდი აქვს“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ რეალს ამჟამად კარგი პერიოდი აქვს და მათ შეუძლიათ ზედიზედ მატჩების მოგება: „ატლეტიკთან გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო, რადგან ჩვენ კიდევ ერთხელ ვანახეთ ჩვენი პოტენციალი. მინდა, რომ გულშემატკივარს რწმენა დაუბრუნდეს“.

ტომას მიულერი: „კიოლნთან საუკეთესო თამაში ვერ ვაჩვენეთ“



მიუნხენის ბაიერნის შემტევმა ტომას მიულერმა კიოლნთან მატჩის შემდეგ თქვა, რომ მისმა გუნდმა საუკეთესო თამაში არ აჩვენა და ბაიერნი ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არის: „კიოლნმა სივრცეები კარგად ჩაკეტა და ამის გამო ჩვენ თამაში გაგვირთულდა, მაგრამ ბოლოს მაინც შევძელით ანგარიშის გათანაბრება. ბაიერნმა უნდა მოუმატოს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ტიტულების მოგება გაგვიჭირდება“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ორი ქალი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი შვილის მათემატიკა მოამზადე?

– კი.

– გადამაწერინე, რა.

●●●

მასწავლებელი გიგის ეკითხება:

– აბა დღეს რა კარგი საქმე გააკეთე?

– დილით მამას რომ ვაცილებდი, დავინახე, თუ როგორ მისდევდა ავტობუსს ბიძია, მე ჩემი პიტბული ავუშვი და ბიძია ავტობუსს დაეწია.

●●●

მოხუცი ქალი გვერდით მდგომ ნარკომანს ეუბნება:

– შვილო, ფანჯარა დახურე, გარეთ ცივა.

– ბებო, შენ გგონია, ფანჯარას თუ დავხურავ, გარეთ დათბება?

●●●

დილით დედამთილი რძალს ეკითხება:

– საქონელი დაანაყრე?

– არა, თქვენ შვილს ჯერ ისევ სძინავს...

●●●

მამა ზარმაცი შვილს ეუბნება:

– სიზარმაცე სპორტის ოლიმპიური სახეობა რომ ყოფილიყო, მეოთხე ადგილს დაიკავებდი.

– მეოთხეს რატომ?

– კვარცხლბეკზე რომ არ აბობღებულიყავი.

●●●

მამაკაცი ფსიქოლოგს ეუბნება:

– ჩემ ცხოვრებაში ყველაფერი კარგადაა, მაგრამ მწვავე შეგრძნებების ნაკლებობას განვიცდი და არ ვიცი, როგორ მივიღო?

– მაინც რა სცადეთ?

– პარაშუტითაც გადმოვხტი, წყალქვეშაც ჩავყვინთე, და ა.შ., მაგრამ რაიმე სიახლე, ახალი შეგრძნებები მჭირდება.

– საყვარელი გაიჩინე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ელდარ შენგელაიას 90 წლის იუბილე მისი ფილმების ჩვენებებით აღინიშნება

რეჟისორ ელდარ შენგელაიას დაბადებიდან 90 წლის იუბილე იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის კინოთეატრში აღინიშნება. 1-5 თებერვალს რეჟისორის ფილმების რეტროსპექტივა გაიმართება და მათზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

ფილმების ჩვენება „არაჩვეულებრივი გამოფენით“ 1 თებერვალს გაიხსნება. ელდარ შენგელაიას საიუბილეო თარიღის ფარგლებში დაგეგმილი რეტროსპექტივის ფარგლებში კინოთეატრში მისული მაყურებელი ნახავს ფილმებს: „თეთრი ქარავანი“, „მიქელა“, „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „სავარძელი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „შერეკილები“ და „მრავალჟამიერი“ (ტრილოგია).

ელდარ შენგელაიას 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილი კინოჩვენებების ორგანიზატორები არიან ეროვნული არქივი, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ეროვნული კინოცენტრი.

კინოოპერატორი ლევან პაატაშვილი 96 წლის ასაკში გარდაიცვალა



კინოსაოპერატორო ხელოვნების დიდი ოსტატი და პატრიარქი ლევან პაატაშვილი 96 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ლევან პაატაშვილი მსოფლიო კინოსაოპერატორო სკოლის უმნიშვნელოვანეს წარმომადგენლად არის აღიარებული. მან საოცარი, სინათლითა და ადამიანურობით სავსე, პოეტური კინოსამყარო შექმნა.

– უამრავი ადამიანი იღებს კარგად, მაგრამ კინოოპერატორი არის ცოტა... კინოოპერატორის პროფესიას მე შევადარებდი პოეტისა და დირიჟორის სიმბიოზს და სწორედ ეს აქვს ბატონ ლევანს და ეს გამოარჩევს მას ყველა ოპერატორისგან მსოფლიოში. მას ისეთ ქვეყანასა და ისეთ ეპოქაში მოუხდა ცხოვრება, რომ არ ჰქონდა დიდი „პრომოუშენი“, თორემ სტორაროზე ნაკლები ნამდვილად არ არის, – ასე გაიხსენა ლევან პაატაშვილი მისმა მოსწავლემ დავით გუჯაბიძემ.

ლევან პაატაშვილმა კინოსაოპერატორო განათლება მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში მიიღო. მისი კინოდებიუტი აღმოჩნდა თენგიზ აბულაძის „სხვისი შვილები“, სადაც კადრის აგების ორიგინალური მცდელობები, შუქჩრდილი, რაკურსი, მოძრაობის მომცველობითი ჩვენება კადრში, სიღრმისეული პერსპექტივის ორიგინალური განცდა ნათლად იქნა წარმოჩენილი.

ლევან პაატაშვილის ნამუშევრებია ფილმებში „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „ერთი ცის ქვეშ“, „თოჯინები იცინიან“, „წისქვილი ქალაქის გარეუბანში“, „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“, „ნეილონის ნაძვის ხე“, „ნახვამდის, ბიჭებო“, „რბოლა“, „რომანსი შეყვარებულებზე“, „სიბირიადა“...

„ნახევარი საუკუნე ლეონარდოს კედელთან. საოპერატორო პროფესიის გამოცდილებიდან“ მის უნიკალურ ნაშრომად არის მიჩნეული. ლევან პაატაშვილი სახელმწიფო პრემიის ლაურეატია.

– დღეს მთავარია, განვსაზღვროთ მიმართულება, რომელმაც ოპერატორის აზრი უნდა განავითაროს. ტრადიციულმა ხელოვნებამ მტკიცე და სანდო ფუნდამენტი შექმნა იმისათვის, რომ თამამად ვიაროთ წინ, განვავითაროთ და შევავსოთ ის, რაც მასში ყველაზე მეტად სიცოცხლისუნარიანია. დრო ბევრ რამეს თვითონ განსაზღვრავს – უვარგისსა და დროებითს თავად უკუაგდებს. დიდი მნიშვნელობა აქვს დღეს ფილმში ოპერატორის ჭეშმარიტი როლისა და მნიშვნელობის აღდგენას. აუცილებელია ოპერატორთა მომავალი კადრების გულდასმით მომზადება – არა ხელოსნებისა, არამედ ტექნიკისა და ხელოვნების ღრმად მცოდნე ოსტატებისა. დღეს კინემატოგრაფს მხოლოდ თავისი საქმის პროფესიონალები კი არ სჭირდება, არამედ პიროვნებები, რათა თამამად შევძლოთ ოპერატორის კეთილშობილურ საქმეში ახალი გზების გაყვანა, – ამბობდა ლევან პაატაშვილი.

თათია შარანგიამ რჩეული გამოაჩინა

პიანისტმა და გადაცემა „სთორის“ წამყვანმა თათია შარანგიამ საზოგადოებას რჩეული წარუდგინა. მისი საყვარელი მამაკაცი ჯარჯი თორაძეა.

თათია და მისი მეორე მეუღლე, ბიზნესმენი სანდრო შელია, ერთმანეთს დაშორდნენ. მათ 1 საერთო შვილი, ანდრია, ჰყავთ. თათიას პირველი ქორწინებიდან ლაშა შევარდნაძესთან კი 2 ბიჭი ედუარდი და ალექსანდრე ჰყავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ხელოვნების სასახლეს ჯვაროსანი რაინდის ქანდაკება აჩუქეს

საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმს ქართველმა მხატვარმა დავით მონავარდისაშვილმა ჯვაროსნის ქანდაკება აჩუქა.

– ეს ხელოვნების ნიმუში ჩვენთვის ორმაგად ძვირფასია, რადგან, როგორც ცნობილია, 1121 წელს დიდგორის ძლევამოსილ ბრძოლაში ქართველებთან ერთად არაერთი ჯვაროსანი იბრძოდა. რაინდი ჟან პიერ ჟან გალუა წერდა: „მე გახლდით მოხალისეთაგანი იბერიელთა ომში, რადგან ვიცოდით, რომ რაინდთა ქართველების ქვეყანას იესოს სახელით ეწადა სარკინოზების დამსხვრევა და ჩვენ, როგორც ქრისტეს ჯარისკაცებს, გვსურდა მათთან ერთად ბრძოლა ისლამის დროშის წინააღმდეგ.“ აღნიშნულმა ქანდაკებამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის მუდმივ ექსპოზიციაში, – განაცხადა საჩუქრის მიღებისას ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ.

ასტროპროგნოზი

26 იანვრისთვის

ვერძი – გონიერებას მოუხმეთ. სანამ რამეს გადაწყვეტთ, სიტუაცია კარგად აწონ-დაწონეთ. **ჯარო** – მიზნის მიღწევაში შეუპოვრობა და სიჯიუტე დაგეხმარებათ. უკან ნუ დაიხევთ. **ტყუპები** – ნუ იქნებით მეტისმეტად მიმნდობი. მიამიტობა დღეს ცუდ სამსახურს გაგიწევთ და მოტყუებული დარჩებით. **კირჩხიბი** – დასამახსოვრებელი და ერთ-ერთი გამორჩეული დღეა. თავს ძალიან კარგად გრძნობთ. **ლომი** – მოულოდნელი შეხვედრა ან ახალი ინფორმაცია გეგმების შეცვლის მიზეზი გახდება. შესაძლოა, პარტნიორთან ურთიერთობა დაგეძაბოთ. **ქალწული** – თუ ახალი სამსახური შემოგთავაზეს, უყოყმანოდ დათანხმდით. ფორტუნა გიღიმით. **სასწორი** – მცდარი ინფორმაცია თქვენს გეგმებზე უარყოფით გავლენას მოახდენს. დაუფიქრებლად ნუ იმოქმედებთ. **ღრიანკალი** – ცვლილებები შეიტანეთ ყოფაში, გარეგნობაში. ახალი იმიჯი წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე და საღი განსჯის უნარი შეინარჩუნეთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა. ყველაფერში გიმართლებთ. ახალი შემოთავაზებით კმაყოფილი დარჩებით. **მერწყული** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. შესაძლოა, მეგობრების დახმარება დაგჭირდეთ. **თევზები** – დღის დევიზია სიყვარული, სიმშვიდე, სათნოება. თქვენს აზრს გარშემომყოფები ანგარიშს გაუწევენ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხსვოხდი ›



შვეულად: 1. გულისა და ფილტვების მოსასმენი სამედიცინო ხელსაწყო; 2. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 3. კარაქის შესადღვები ძველებური ხის მოგრძო ჭურჭელი; 4. ქართველი კარიკატურისტი მხატვარი; 5. უმცროს მეთაურთა წოდება არმიაში; 6. ვულკანი ისლანდიაში; 7. ტბა საქართველო-აზერბაიჯანში; 9. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 13. ბგერის ნახევარტონით ასამაღლებელი სანოტო ნიშანი მუსიკაში; 17. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი; 18. მანძილის საზომი ერთეული ძველად საფრანგეთში.

თარაზულად: 1. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა; 3. ავადმყოფობის გამომწვევი ჩხირისებრი ბაქტერია; 8. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 10. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 11. ჩეხური ცეკვა; 12. იტალიური სადესერტო ღვინო; 14. სამი ან მეტი მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 15. კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღვარი; 16. დაბალი, გრძელი ტანის მქონე მონადირე ძაღლის ჯიში; 19. კომბინაცია პრეფერანსში; 20. ღვინისა და დროსტარების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ქართველი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა